



პრეისტორიული ქსოვიდი საქართველოდან



PREHISTORIC TEXTILE FROM GEORGIA



შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი



Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia

საქართველოს ეროვნული მუზეუმი



Georgian National Museum

ავტორები

თეა კინსურაშვილი
თეიმურაზ ფარჯანაძე
მიხეილ წერეთელი
ნინო კალანდაძე

Authors

Tea Kintsurashvili
Teimuraz Parjanadze
Micheil Tsereteli
Nino Kalandadze

რედაქტორი

ზურაბ მახარაძე

Editor

Zurab Makharadze

რეცენზენტი

დimitრი ახვლედიანი

Reviewer

Dimitri Akhvlediani

თარგმანი

ირმა ხვედელიძე

Translation

Irma Khvedelidze

დიზაინი

ირაკლი ხუციშვილი

Design

Irakli Khutsishvili

ფოტო

ფერნანდო ხავიერ ურკიხო

Photo

Fernando Javier Urquijo

განსაკუთრებული მადლობა: დავით ლორთქიფანიძეს, ერეკლე ქორიძეს, ნინო ჯაყელს, მინდია ჯალაბაძეს, ნანა გოგიბერიძეს, დათა გაგოშიძეს, ნიკოლოზ გობეჯიშვილს, გიორგი გოგოჭურს, გიორგი მინდიაშვილს, ნინო ჩხარტიშვილს, მარიამ კუბლაშვილს, თინათინ კახელიშვილს, მარიამ ელოშვილს, ინგა ესვანჯიას, ფრიდონ ლობჯანიძეს, ნინო ჯიქიძეს, სოფო ებრალიძეს, სესილი სორდიას, მალხაზ მაჭავარიანს, სოფო მიქაძეს, ნანა ჯაშიაშვილს, საბა ლაბაძეს, მარიამ სებისკვერაძეს, ინგა ყურაშვილს.

Special thanks to: David Lordkipanidze, Erekle Koridze, Nino Jakheli, Mindia Jalabadze, Nana Gogiberidze, Data Gagoshidze, Nikoliz Gobejshvili, Giorgi Gogochuri, Giorgi Mindiashvili, Nino Chkartinshvili, Mariam Kublashvili, Tinatin Kakhelishvili, Mariam Eloshvili, Inga Esvanjia, Phridon Lobjanidze, Nino Jikidze, Sopho Ebralidze, Sesili Sordia, Malkhaz Machavariani, Sopho Mikadze, Nana Jashiashvili, Saba Labadze, Mariam Sebiskveradze, Inga Kurashvili.



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [FR-19-21843]

This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia (SRNSFG) [FR-19-21843]



საქართველოს ეროვნული მუზეუმი
Georgian National Museum

ISBN 978-9941-9754-3-1

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი, 2022

პრეისტორიული
ქსოვი
სამართავებთან




PREHISTORIC
TEXTILE
FROM GEORGIA

თბილისი • Tbilisi
2022



საქართველოში აღმოჩენილი პრეისტორიული ქსოვილები
PREHISTORIC TEXTILES FROM GEORGIA



სარჩევი

თავი I. საფეიქრო საქმიანობის სათავეებთან	9
თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე	
თავი II. საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები	31
თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე, ირინე კოშორიძე, იზოლდა მელიქიშვილი	
თავი III. ადრეული ყორღანების კულტურის ქსოვილები საქართველოდან.....	65
თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე	
თავი IV. უძველესი ქსოვილების საღებავები	95
თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე, ნანა რუსიშვილი	
კატალოგი.....	112
განმარტებები	148
საძიებელი	150

Contents

Chapter I. At the Origins of Textile Activity	9
Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze	
Chapter II. Textile-related tools	31
Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze, Irine Koshoridze, Izolda Melikishvili	
Chapter III. Early Kurgan Culture Textile from Georgia	65
Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze	
Chapter IV. Ancient Textiles Dyes	95
Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze, Nana Rusishvili	
Catalogue	112
Glossery	154
Index	155

საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია, რომ არქეოლოგიური ქსოვილის შესწავლით შესაძლებელია წარმოდგენა შეგვექმნას, როგორც დროის განსაზღვრულ პერიოდში დამკვიდრებული ტენდენციების, ასევე შინა მრეწველობის ისეთი დარგის განვითარების შესახებ, როგორც იყო საფეიქრო საქმიანობა.

რთული წარმოსადგენი არ არის, რაოდენ საინტერესო და ამავდროულად რთულია, არქეოლოგიური ქსოვილის ნაწარმის შესწავლა. ჩვენ შესაძლოა მეტ-ნაკლებად ვიცით წარსულის რწმენა-წარმოდგენების, კულტისა თუ სოციალური მოვლენების შესახებ, მაგრამ იმდროინდელ ტექნოლოგიებს, ჯერ კიდევ თანამედროვე ინდუსტრიული თვალთახედვით ვუდგებით, სადაც რაციონალურობა, პრაქტიკულობა და მიზანი განსხვავებულია, ამიტომ თითოეული მსაგესი კვლევა და პუბლიკაცია დიდი ინაფორმაციის მატარებელია უძველესი კულტურების შესწავლის საქმეში. მსოფლიოს უძველესი ქსოვილების შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში აღმოჩენილი, პუბლიკაციაში მოცემული ბრინჯაოს ხანის ქსოვილის ნიმუშები. პუბლიკაციაში წარმოდგენილ კვლევებზე და მასალებზე დაყრდნობით კი, საქართველო უდაოდ იკავებს საპატიო ადგილს, როგორც საფეიქრო წარმოების ერთ-ერთი უძველესი კერა.


მადლობას ვუხდით პროექტის მონაწილეებს და შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს.

It is a widely accepted that archaeological textiles bear important testimony for reconstruction of everyday life, economical activities, trade, migration, religious rituals, and craftsmanship traditions of ancient cultures.

It is not difficult to imagine how interesting and at the same time difficult it is to study archaeological textile. We might be fairly aware of the past rites and beliefs, cults or social events, but we still look at ancient technologies from a modern industrial point of view where rationality, practicality and purpose are different. Therefore, every similar study and publication are an important milestone for the study of ancient cultures. For the study of textiles of the ancient world, ancient textiles samples given in publication, found in the South Caucasus- in Georgia, as Bronze Age are of significant, are of significant importance.

Based on the studies and materials presented in the publication, among a number of large regions of ancient textile production, Georgia undoubtedly occupies its meaningful place as an ancient textile producer.

I would like to express my special thanks to participants of the project and the Shota Rustaveli national science foundation of Georgia.



თავი I

საფეიქრო საქმიანობის სათავეებთან

თეა კინურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე

CHAPTER I

AT THE ORIGINS OF TEXTILE ACTIVITY

Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze



თავი I

საფეიქრო საქმიანობის სათავეებთან

თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე

პრეისტორიული ქსოვილი და საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული საქსოვი ხელსაწყოების დიდი ნაწილი, ორგანული ბუნების გამო იშვიათ მონაპოვართა რიგს მიეკუთვნება. არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული ქსოვილი თამამად შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც დასტური უძველესი საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქმიანობის არსებობისა.

უძველესი ქსოვილის შესწავლით შესაძლებელია წარმოდგენა შეგვექმნას, როგორც დროის განსაზღვრულ პერიოდში დამკვიდრებული გარკვეული ტენდენციების, ასევე შინა მრეწველობის ისეთი დარგის განვითარების შესახებ, როგორც იყო საფეიქრო საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ ქსოვილი წარმოადგენს კულტურული ტრადიციის მკაფიო ინდიკატორს (Andersson at al. 2010, pp. 149-173). კაცობრიობის ისტორიის მანძილზე საფეიქრო საქმიანობამ, ქსოვის ტექნიკამ უდიდესი როლი შეასრულა ადამიანის ყოფა-ცხოვრებასა და შიდა სამეურნეო საქმიანობაში. როგორც ტექნოლოგიური მიღწევა, იგი უფრო ადრინდელია, ვიდრე კერამიკის წარმოება, მეტალურგია და სხვა (Barber 1991; Good 2001, pp. 209-26; Hurcombe 2010, pp. 129-139). ქსოვილის დამზადება ადამიანმა, სავარაუდოდ ჯერ კიდევ პალეოლითში დაიწყო. თავდაპირველად ქსოვისთვის საჭირო ნედლეულად ძირითადად ველურ მცენარეებს იყენებდნენ (Good 2001, pp. 209-216; Gleba at al. 2010, pp. 129-139). ევროპისა და აზიის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი უძველესი ქსოვილების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ისინი ძირითადად სწორედ მცენარეული ბოჭკოვანი მასალისგან (სელი, ჭინჭარი, კანაფი...) არის დამზადებული (Shishilina et al. 2003; Rast-Eicher at al. 2005, pp. 117-131; Gleba 2017, pp. 9-28; Harris 2010, pp. 30-31). საქართველოში, ძუძუნას მღვიმეში აღმოჩენილია 34 ათასი წლის წინანდელი გრეხილი ველური სელის ბოჭკოებისგან შექმნილი ძაფის ნაშთები (Kvavadze at al. 2009). უძველესი ქსოვილის ნაშთებს შორის არის ჩეხეთში დოლნე-ვესტონიცას 29-32 ათასი წლის წინანდელი ჭინჭრისგან დამზადებული ძაფი (Adovasio et al. 2001).

ნეოლითის პერიოდის ქსოვილები (ძვ.წ. VIII-VII ათასწლეულები), აღმოჩენილია წინა აზიაში (Barber 1999, pp. 127-131) და ინდოეთში (ძვ.წ. VI ათასწლეული). მოგვიანებით ქსოვის ტექნიკა ცენტრალურ ევროპაშიც იჩენს თავს, სხვადასხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე გვხვდება კვირისტავეები, სანაფები. ევროპული უძველესი ქსოვილის კვლევამ დაადასტურა მცენარეული ბოჭკოვანი ქსოვილის პრიორიტეტი

ცხოველურთან შედარებით (Barber 1992; McCorrison 1997; Gleba at al. 2012, p. 403). მოგვიანებით, სელზე უპირატესი ხდება ცხოველის ბენვისგან (მატყლი, თივთიკი და სხვ.) დამზადებული ქსოვილი (Barber 1991, pp. 130-134; Shishlina at al. 2003, pp. 331-344; Grömer 2016, p. 533; Rast-Eicher at al. 2005, pp. 117-131), რაც ამ პერიოდის სამეურნეო ცვლილებებზე უნდა მეტყველებდეს.

საქართველოში, ქსოვილის ნაშთები სხვადასხვა პერიოდის არქეოლოგიურ ძეგლებზეა დაფიქსირებული. ძვ.წ. VI-V ათასწლეულებში ქვემო ქართლში მარნეულის რაიონის სოფ. იმირში სამოსახლო ბორცვზე - „გადაჭრილი გორა“, თითქმის ყველა ფენაში გამოვლენილია სელის ბოჭკო, მათ შორის ფერადი და გრეხილი (ჯალაბაძე და სხვ. 2010, გვ. 17-45, 23).

არუხლოს და შულავერის გორის ნეოლითურ ნამოსახლარებზე იდენტიფიცირებულია სელის კარბონიზირებული მარცვლები (Русишвили 1990; ყვავაძე და სხვ., 2014). სელის კარბონიზირებული თესლები ნაპოვნია ასევე მაშავერას გორაზეც (კონტექსტი C11-20) - კერიდან აღებულ ნიმუშში.

ენეოლითსა და ადრებრინჯაოს (ქალკოლითი) დასაწყისში, ზოგიერთ კერამიკულ ნაწარმზე გვხვდება სელის უხეში ქსოვილის ანაბეჭდები (Кушнарева и Чубинишвили 1970, გვ. 163; ჩუბინიშვილი 1963; გოგოჭური და ორჯონიკიძე 2010, გვ. 116). ხშირად, მსგავსი სახის ანაბეჭდი ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის იმ პერიოდის ქსოვილის შესახებ. ამის ნათელი დასტურია ამირანის გორას, ენეოლით-ადრებრინჯაოს (ქალკოლითი) ხანის კერამიკის ნაწარმზე ქსოვილის ანაბეჭდები, სადაც ნათლად იკითხება ქსოვის ტექნიკა (ტაბ. I). კერამიკაზე აღბეჭდილი ქსოვილის კვალი უმეტესწილად მცენარეული წარმოშობისაა, რადგანაც მხოლოდ მცენარეული წარმოშობის ქსოვილს შეუძლია დატოვოს კერამიკაზე ასეთი ღრმა და მკაფიო კვალი (Медведева 2019).

ძვ.წ. III ათასწლეულის I მეოთხედის მტკვარ-არაქსის კულტურის პერიოდით დათარიღებულ გუდაბერტყას ნამოსახლარზე, დანახშირებულ ფენაში გამოვლენილია ქსოვილის დამწვარი ფრაგმენტი (Mindiasvili pp. 158-165). ამავე პერიოდისაა, ქვაცხელას სამაროვანზე მოპოვებული წმინდად დართული სელის ძაფის ნაშთი (ჯავახიშვილი და ლლონტი 1962, გვ. 50).

ბედენური კულტურის N5 ყორღანში აღმოჩენილია სხვადასხვა ტიპის ქსოვილი და თოკი, მინაზე აღბეჭდილი ჭილობისა და ქსოვილის ანაბეჭდები, ხოლო N10 გორასამარხში დაზგაზე ნაქსოვი ქსოვილის ნაშთი (მუქი შინდისფერი, ნაცრისფერი და თეთრი) და შალის ქსოვილის დიდი შეკვრა (თოფი), მოთავსებული იყო მოწნულ კალათაში (გობეჯიშვილი 1980, გვ. 32, 75, 105, 106, 133). გერმანე გობეჯიშვილის აზრით, სამარხში წარმოდგენილი ქსოვილი შესაძლებელია ტანსაცმლის ნაშთი იყოს, რომელიც აქ დაკრძალულ მიცვალებულს ეკუთვნოდა. იქვე, დადასტურდა ხის თითისტარისა და კვირისტავერის ნაშთები (გობეჯიშვილი 1967, გვ. 13-22). ანანაურის N3 ყორღანულ სამარხში

გამოვლენილია 12 ქსოვილის და 5 ერთეული ძაფის/თოკი (ნედლეული მასალა) ფრაგმენტი (კალანდაძე და სახვაძე 2016, გვ. 123. კატალოგი NN 135-146). 2020 წელს გვიანბრინჯაოს პერიოდის დოღლაურის სამაროვანზე მოკვლეულია ქსოვილისა და ძაფის ფრაგმენტები: ერთი მათგანი წარმოადგენს სელის გრეხილ ძაფს, რომელზეც ასხმულია ბრინჯაოს მძივები, ხოლო მეორე წარმოადგენს მოჩალისფრო-მომწვანო ფერის ქსოვილის ფრაგმენტს, რომელიც შედგება მარჯვნივ გრეხილი (plied yarn) ორწნიანი ნართისგან (იხ. ტაბ. III,IV; კატალოგი NN 21,22).

ფ. ბაიერნის მიერ ძვ.წ. VII-VI საუკუნეებით დათარიღებულ „ყაზბეგის განძთან“ ერთად აღმოჩენილია ბრინჯაოს მძივზე მიმაგრებული ჩხირებით ნაქსოვი შალის ქსოვილის ნაშთები (ყაზბეგის განძი. N 2-02:44/220. ტაბ. II). ისინი სხვადასხვა ტექნიკური წესითაა დამზადებული. ქსოვილის ერთი ფრაგმენტი მარყუჟულ ნაქსოვს წარმოადგენს და „წინდურად“ ჩხირებით არის ნაქსოვი; მეორე კი, საქსოვ დაზგაზე დამზადებული შავი ფერის მატყლის ქსოვილია (ყარაულაშვილი 1985, გვ. 11-12).

სამწუხაროდ მსოფლიოში ბრინჯაოს ხანის ქსოვილი ერთეული ფრაგმენტებითაა შემორჩენილი. მათი უმეტესობა გაჟღენთილია ლითონის ჟანგით და სხვადასხვა ნადებით. ცნობილია, რომ უძველესი ქსოვილის შენახვას ხელს უწყობს მშრალი კლიმატი (მაგ. ახლო აღმოსავლეთი - არაბეთის უდაბნო), ასევე ცივი კლიმატი (მაგ. ჩრდილოეთის ყინვა) და უჟანგბადო ტორფიანი გარემო, რომელშიც ან მცირედ ან საერთოდ არ მიმდინარეობს დაჟანგვის პროცესი. თითოეული ეს ფაქტორი გარკვეულ გავლენას ახდენს ორგანული არტეფაქტების დაცულობის ხარისხზე. სელისა და სხვა ცელულოზის ბოჭკოები უკეთესად ინარჩუნებენ დაცულობას ტუტე გარემოში, ხოლო ცხოველური ცილოვანი ბოჭკოები, მაგალითად მატყლი, უკეთესად ინახება სუსტ მჟავა გარემოში. საქართველოს უძველესი ქსოვილის ნიმუშები, ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრით თარიღდება და ადრეული ყორღანების ე.წ. ბედენური კულტურის ყორღანებშია აღმოჩენილი. ჩვენამდე მოღწეული ქსოვილის მასალის დაცულობის გარანტიად შესაძლოა თვით დასაკრძალავი კამერების კონსტრუქცია განვიხილოთ. ასე, მაგალითად ბედენის აკლდამის დასაკრძალავი კამერა შეადგენს ერთმანეთთან მიჯრით მიდგმულ სვეტებს, რომლებსაც შვეულ მდგომარეობაში დიდ ხანს აჩერებდა მარწუხებივით შემოკრული ხის სარტყლები. აკლდამა ვერ ავსებდა ორმოს, რომელშიაც ის იყო ჩადგმული. ამიტომ ორმოსა და აკლდამას კედლებს შორის დარჩენილი სივრცე შევსებული იყო ხის მორებით, ქვებითა და პლასტიკური თიხით. ამ შევსებას უნდა გაეძნელებინა ნიადაგქვეშა წყლის შეჭონვა აკლდამაში (გობეჯიშვილი 1967, გვ.13-22). ანანაურის N3 დასაკრძალავი კამერის კედლები ორმაგია. გარეთა რიგი მრგვალი მორებით, ხოლო შიდა რიგი გათლილი ოთხკუთხა ძელებითიყო ნაგები. კედლის მორები კუთხეებში ჯარგვალური წესით იყო გადაბმული, იატაკი ფიც-

რებით მოგებული და ზედ გადაფარებული ჭილობით (მახარაძე და სხვ. 2016, გვ. 50-51). საფიქრებელია, რომ სწორედ დასაკრძალავი კამერების მშენებლობის ტექნიკამ (ორმაგი კედლები, თბოიზოლაცია) მეტნაკლებად უზრუნველყო სტაბილური გარემო პირობები.

ევროპასა და აზიაში უძველესი მატყლისგან დამზადებული ქსოვილები ბრინჯაოს ეპოქაში ვრცელდება (Rast-Eicher at al. 2005, pp. 117-131). უნდა აღინიშნოს, რომ ბრინჯაოს ხანად სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა პერიოდები მოიაზრება, და ეს ქრონოლოგია ცვალებადია ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით.

ტრადიციულ საზოგადოებაში ქსოვილის დასამზადებლად ნედლეულის შერჩევა დამოკიდებულია მთელ რიგ კომპლექსურ ფაქტორებზე, უპირველესად ესაა ბუნებრივ-კლიმატური პირობები და ეკონომიკური ცხოვრების წესი. მნიშვნელოვანია სოციალური ურთიერთობების (სოციალური წყობა) და პოპულაციის სავაჭრო კავშირების გააზრებაც. ხშირად სწორედ ეს განსაზღვრავს, თუ რომელი მცენარეული ან ცხოველური წარმოშობის ბოჭკოვან მასალას იყენებს ადამიანი ქსოვილის დამზადებისას (Andersson Strand E. at al., 2010, pp. 150-151).

ძვ.წ. IV ათასწლეულის უძველესი შალის ქსოვილის ნაშთი (თხის თივთიკისაგან დამზადებული შალის ქსოვილი) ცენტრალურ ანატოლიაშია (ასლანთეფე *Aslantepe Höyüğü*) აღმოჩენილი (Frangipane at al., 2001, pp. 105-139; 2009, pp. 5-29). ასევე, აღმოსავლეთ ირანში (შაჰრი-სუხტე *Shahr-e Sukhteh*, شوش و سوس) შემორჩენილია ამ პერიოდის თხის თივთიკისა და ცხვრის მატყლისგან დამზადებული ქსოვილის ფრაგმენტები (Good 2007, pp. 168-173; 2012, pp. 343-344).

საქართველოში ბრინჯაოს პერიოდამდე უძველესი ქსოვილის ნაშთები ძირითადად ერთეული ფრაგმენტების სახით გვხვდება. „ბედენური“ კულტურის გორასამარხებში კი, ვითარება მკვეთრად შეცვლილია და ქსოვილის რაოდენობა და მოცულობაც (დიდი ზომის ქსოვილის ნაჭრები) მკვეთრად გაზრდილია. აღნიშნული ქსოვილები ძირითადად მომდინარეობს მდიდრული, ე.წ. ყორღანული ტიპის სამარხებიდან. წინა კლასობრივ ხანაში მდიდრული სამარხები თითქმის ყოველთვის მესაქონლე/მეჯოგე ტომების კუთვნილება იყო. მესაქონლეობა, ისევე როგორც მეტალურგია, წარმოადგენდა საქმიანობის იმ ახალ ელემენტებს, რომლებმაც თავისი განვითარებით დაარღვიეს უძველეს საზოგადოებაში მანამდე არსებული სოციალურ-ეკონომიკური თანაფარდობა. მესაქონლე ტომები აწარმოებდნენ არა მარტო უფრო მეტ პროდუქტს ვიდრე ის ტომები რომლებიც მეურნეობის სხვა ფორმებს მისდევდნენ, არამედ იძლეოდნენ დიდი რაოდენობით განსხვავებულ ნაწარმსაც, რაც ხელს უწყობდა რეგულარული ალბ-მიცემობის განვითარებას. მესაქონლეობასთან ერთად ფართოდ ვითარდება ტომთა შორის გაცვლა-გამოცვლა. მესაქონლე ტომებისთვის პირუტყვი

გადაიქცა ძირითად გაცვლით ერთეულად: მისი საშუალებით ხდებოდა ყველა სხვა საქონლის შეფასება (ქავთარაძე 1979, გვ. 83-92).


შალის ბოჭკო და შალის ქსოვილები ინტენსიური ვაჭრობის საგანი იყო. ქსოვილების მობილობის შესახებ მოგვითხრობენ ასირიული არქივები, შუმერული სასახლეებისა და ტაძრების მიკენური მატყლის ადმინისტრირების დოკუმენტები (Breniquet and Michel 2014; Michel 2001; Veenhof 1972). რთული და საინტერესო საკითხია ქსოვილების განსაკუთრებული მნიშვნელობა ბრინჯაოს ეპოქაში.

ბიბლიოგრაფია

- გობეჯიშვილი გ. (1967) ბედენის აკლდამა, „საბჭოთა საქართველო“. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი“ N12. თბილისი
- გობეჯიშვილი გ. (1980) ბედენის გორსამარხების კულტურა - „მეცნიერება“. თბილისი
- გოგოჭური გ., ორჯონიკიძე ალ. (2010) „თისელის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი“, სტატიების კრებული „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, თბილისი
- კალანდაძე ნ., სახვაძე ე. (2016) ანანაურის N3 დიდი ყორღანი. თბილისი
- მახარაძე ზ., კალანდაძე ნ., მურვანიძე ბ. (2016) ანანაურის N3 დიდი ყორღანი. თბილისი
- ქავთარაძე გ. (1979) „სამეფო აკლდამების“ სოციოლოგიური ინტერპრეტაციისათვის, - მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის, VII, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი
- ჩუბინიშვილი ტ. (1963) „ამირანის გორა“. თბილისი
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ. (1962) „ურბნისი I“. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი
- ჯალაბაძე მ., ესაკია ქ., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ქორიძე ე., შაყულაშვილი ნ., წერეთელი მ. (2010) „გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში“, „ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში“, თბილისი
- ყარაულაშვილი ც. (1985) ქსოვის ხალხური წესები კახეთში. გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
- ყვავაძე ე., ჯალაბაძე მ., ქორიძე ი., რუსიშვილი ნ., ჭიჭინაძე მ., მარტყოფლიშვილი ი. (2014) გადაჭრილი გორის და შულავერის გორის ნამოსახლარების ფენებისა და ჭურჭლის პალინოლოგიური კვლევის შედეგები (2007 წელს მოპოვებული მასალის მიხედვით). მაცნე N6. თბილისი
- Adovasio J. M. et al. (2001) *Archaeol. Ethnol. Anthropol. Eurasia* 2001, 48
- Andersson Strand E., Gleba M., Mannering U., Nosch M.-L., Skals, I. (2010). *Old*

- Textiles – New Possibilities // *European Journal of Archaeology*. 13 (2), 149-173
- Barber E.W. (1991) *Prehistoric textiles: the development of cloth in the Neolithic and Bronze Age with special reference to the Aegean*. Princeton, New Jersey: Princeton University Press
 - Barber E. J. W. (1992) *Prehistoric textiles*. Princeton: Princeton University Press
 - Barber E.W. (1999) *The Mummies of Urumchi*. New York-London: Norton end Company
 - Breniquet, C. and C. Michel (eds.). (2014) *Wool Economy in the Ancient Near East and the Aegean: From the Beginnings of Sheep Husbandry to Institutional Textile Industry (Ancient Textiles Series 17)*, Oxford
 - Frangipane M., Di Nocera G. M., Hauptmann A., Morbidelli P., Palmieru A., Sadori A., Schultz M., Schmidt-Schultz T. (2001) *New symbols of a new power in a «Royal» tomb from 3000 BC Arslan-Tepe, Malatya (Turkey) // Paleorient. Vol. 27. No. 2. P. 105–139*
 - Frangipane, M., Andersson Strand, E., Laurito, R., Möller-Wiering, S., Nosch, M.-L. B., Rast-Eicher, A. and A. Wisti Lassen. (2009) *Arslantepe, Malatya (Turkey): textiles, tools and imprints of fabrics from the 4th to the 2nd millennium bce, Paléorient 35*
 - Gleba M. , Andersson Strand E., Mannering U., Munkholt C., Ringgaard M. (eds.). (2010) *Nettle and bast fibre textiles from stone tool wear traces? The implications of wear traces on archaeological late mesolithic and neolithic microdentate tools . North European Symposium for Archaeological Textiles X, 247. Oxford, Oxbow Books*
 - Gleba M., Krupa T. (2012) *Ukraine // Textiles and Textile production in Europe from Prehistory to AD 400 / Eds.: M. Gleba, U. Mannering. Oxford, Oakvill: Oxbow books*
 - Gleba M. (2017) *Textiles in Pre-roman Italy: from a qualitative to a quantitative approach // Origini prehistory and protohistory of ancient civilisations. 192 Contextualising textile production in Italy in the 1st millennium BC. Edited by Margarita Gleba and Romina Laurito. XL Roma: GANGEMI EDITORE SPA Via Giulia*
 - Good I. (2001) *Archaeological textiles: A review of current research. Annual Review of Anthropology 30*
 - Good I. (2007) *Invisible exports in Aratta: Enmerkar and the three tasks // Ancient textiles: production, craft and society / Eds.: C. Gillis, M.-L. Nosch. Oxford: Oxbow Books*
 - Good I. (2012) *Textiles // Companion to the Archaeology of Ancient Near East. I/ Ed. D. N. Potts et al. Oxford: Wiley-Blackwell*
 - Grömer K. (2016) *The Art of Prehistoric Textile Making. The development of craft traditions and clothing in Central Europe. Veröffentlichungen der Prähistorischen Abteilung (VPA) 5. Natural History Museum Vienna*

- Harris S. (2010) Cloth Cultures in Prehistoric Europe; Project Concept and Approach // Archaeological Textile Newsletter. No. 50
- Hurcombe L. (2010) Nettle and bast fibre textiles from stone tool wear traces? The implications of wear traces on archaeological late mesolithic and neolithic microdenticulate tools // Andersson Strand, E., Gleba, M., Mannering, U., Munkholt, C., Ringgaard, M. (eds.), North European Symposium for Archaeological Textiles X, 247. Oxford, Oxbow Books
- Kalandadze N., Sakhvadze E. (2016) Ananuri Big Kurgan N3. Tbilisi
- Kvavadze E. (2009) Ofer Bar-Yosef, Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T., 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. Science. October
- Makharadze Z., Kalandadze N., Murvanidze B. (Eds). (2016) Ananuri Big Kurgan N3. Tbilisi
- McCorriston J. (1997) The Fiber Revolution. Textile extensification, alienation, and social stratification in Ancient Mesopotamia // Current Anthropology. Vol. 38. No. 4, 517-549
- Michel, C. (2001) Correspondance des marchands de Kaniš au début du IIe millénaire av. J.-C., Paris
- Mindiashvili G. Gudabertqa – Eine Siedlung der Kura-Araxes Kultur. Gold & Wein, Georgiens älteste Schätze, Begleitband zur Sonderausstellung 6. Oktober 2018 – 10. Februar 2019 Archäologisches Museum Frankfurt, Herausgegeben von Liane Giemsch und Svend Hansen. Collection of scientific articles
- Rast-Eicher A. (2005) Bast before wool: the first textiles // Bichler P, Grömer K, Hofmann-de Keijzer R, Kern A, Reschreiter H (eds.) Hallstatt textiles: technical analysis, scientific investigation and experiment on Iron Age textiles. Archaeopress, Oxford
- Shishlina N.I., Orfinskaya O.V., Golikov V.P. (2003) Bronze Age textiles from the North Caucasus: new evidence of Fourth millennium BC fibres and fabrics. Oxford Journal of Archaeology 22(4)
- Veenhof K., (1972) Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology (Studia et documenta ad iura orientis antiqui pertinentia 10), Leiden
- Кушнарева К.Х., Чубинишвили Т.Н. (1970) Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н.э.). изд. «Наука», Ленинград
- Медведева П.С. (2019) «Текстиль в позднем бронзовом веке Южного Урала». Челябинск. Archeolog.ru/media/dissovet/Medvedeva_diss_2.pdf, (2019)
- Русишвили Н. (1990) Культурные растения на ранних поселениях Грузии по палеоэтноботаническим исследованиям. Автореферат диссертации на соиск.уч. степ.канд.виол. наук. Кишинев



CHAPTER I

At the Origins of Textile Activity

Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze

Prehistoric textile and a large part of knitting tools related to textile activities, due to their organic nature, are among the rarest of finds. Archaeological textile can boldly be considered as evidence of one of the most important industrial activities in ancient society.

By studying the ancient textile, we can get an idea of the trends established over a period of time, as well as the development of a field of domestic industry such as textiles. It can be said that textile is a clear indicator of cultural tradition (Andersson et al. 2010, pp. 149-173). Throughout the history of mankind, textiles and weaving techniques have played a major role in human livelihood and domestic agriculture. As a technological breakthrough, it is earlier than the production of ceramics, metallurgy, etc. (Barber 1991; Good 2001, pp. 209-26; Hurcombe 2010, pp. 129-139). Man-made textile probably began as early as the Paleolithic period. Initially, the raw material for weaving was mainly wild plants (Good 2001, pp. 209-216; Gleba et al. 2010, pp. 129-139). The study of ancient textiles found in different regions of Eurasia revealed that they are mainly made of plant fiber material (flax, nettle, hemp ...) (Shishlina et al. 2003; Rast-Eicher et al. 2005, pp. 117-131; Gleba 2017, pp. 9-28; Harris 2010, pp. 30-31). Remains of 34,000-year-old plaid wild flax threads have been found in the Dzudzuna Cave in Georgia (Kvavadze et al. 2009). Among the oldest textile remains is a thread made of nettle from Dolne-Vestonica in the Czech Republic 29-32 thousand years ago (Adovasio et al. 2001).

Neolithic period textiles (8th-7th millennium BC), have been found in Near East (Barber 1999, pp. 127-131), India (6th millennium BC). Knitting techniques are also found in Central Europe, on various archeological sites we can find spindle whorls and loom weights. European ancient fiber studies have confirmed the priority of plant fibrous tissue over animal (Barber 1992; McCorrison 1997; Gleba et al. 2012, p. 403). Later, the textile of animal fur predominates over flax (Barber 1991, pp. 130-134; Shishlina et al. 2003, pp. 331-344; Grömer 2016, p. 533; Rast-Eicher et al. 2005, pp. 117-131), which should indicate the agricultural changes of this period.

Remains of textile have also been found in archeological monuments of different periods in Georgia. In the 6th-5th millennium BC, in Kvemo Kartli in the village of Imiri Marneuli district on the settlement hill - "Gadachrili Gora", flax textile fibers, including colored and plaid ones, were found in almost all

layers (Jalabadze et al. 2010, pp. 17-45, 23).

Carbonized grains of flax have been identified in the Neolithic settlements of Arukhlo and Shulaveri Gora (Rusishvili 1990; Kvavadze et al., 2014). Carbonated flax seeds are also found on Mashavera Gora, context C11-20, in a specimen taken from a kiln.


In the Eneolithic and Early Bronze Ages (Calcolithic), coarse flax thread prints are found on ceramic products (Kushnareva and Chubinishvili 1970, p. 163; Chubinishvili 1963; Gogochuri and Orjonikidze 2010, p. 116). Often these types of imprints give us an accurate idea of the textile of that period. Clear proof of this is the textile prints on the Amirani hill, Eneolithic-Early Bronze Age (Calcolithic) pottery, where the weaving technique is clearly readable (Tab. I). The traces of the textile imprinted on the pottery are mostly of plant origin, as only the textile of plant origin can leave such a deep and distinct mark on the pottery (Medvedeva 2019).

In Gudabertka settlement, dating to the Mtkvari-Araks culture period of the first quarter of the 3rd millennium BC, a burnt fragment of textile has been found in the charred layer (Mindiashvili pp. 158-165). Remains of sacred attached flax thread obtained at Kvatskhela cemetery are also from the same period (Javakhishvili and Glonti 1962, p. 50).

Various types of cloth and rope were found in the tomb of Bedeni Culture N5, pieces of land with imprints of cloth and thread, in the tomb of N10, the remains of the cloth were dark burgundy, gray and white, a large bundle of woolen cloth (tool) woven on a machine (Gobejishvili 1980, pp. 32, 75, 105, 106, 133). According to Germane Gobejishvili, the cloth presented in the tomb may be a remnant of clothes that belonged to the deceased buried here. Remains of wooden spindle and whorl were confirmed there as well (Gobejishvili 1967, pp. 13-22). Fragments of 12 textiles and 5 units of thread/rope (raw material) were found in Ananauri N3 Kurgan (Kalandadze and Sakhvadze 2016, p. 123. Catalogue NN 135-146). In 2020, two fragments of cloth were excavated in the Late Bronze Age Doglauri cemetery, one of which is a plaid thread of flax with bronze beads and the other textile is a fragment of beige-green color consisting of two plied yarns (See Tabs III, IV; Catalogue NN 21, 22).

Remains of woolen cloth with heavy bronze beads, woven with sticks, dated to the 7th-6th centuries, dating back to the Kazbegi hoard belongs to the same period (Kazbegi hoard. N2-02: 44/220. Tab. II). They are made using different techniques. One piece of textile is loop-woven and "Stockings" woven with sticks; the second is a black wool textile made on a knitting machine. (Kharaulashvili 1985, pp. 11-12).

Unfortunately only very few select fragments are preserved in the world



the Bronze Age textiles. Most of them are soaked with metal rust and various deposits. It is known that the preservation of ancient textile is facilitated by dry climate (eg. Middle East - Arabian desert), as well as cold climate (eg. northern frost) and oxygen-free peat environment, in which there is little or no oxidation. Each of these factors has a definite effect on the degree of preservation of organic artifacts. Flax and other cellulose fibers are better protected in alkaline environments, while animal protein fibers, such as wool, are better stored in weakly acidic environments. The oldest textile samples of Georgia date back to the second half of the third millennium BC and are found in the tombs of the so-called Beden culture of the early Kurgans. We may consider the construction of self-contained chambers as a guarantee for the protection of the textile material available to us. So, e.g. Bedeni tomb's burial chamber consists of columns stacked on top of each other, held for a long time by wooden belts wrapped in loops. The tomb could not fill the pit in which it was embedded. So the space left between the walls of the pit and the tomb was filled with wooden logs, stones and plastic clay. This filling was supposed to make it harder for groundwater to seep into the tomb (Gobejishvili 1967, pp. 13-22). The walls of Ananauri N3 burial chamber are double layered. The outer row was made of round logs and the inner row was made of shaven rectangular posts. The wall logs were cross-linked in the corners, the floor was covered with planks with a plaid cover made of rush (Makharadze et al. 2016, pp.50-51). It is conceivable that it was the technique of construction of burial chambers (double walls, thermal insulation) that more or less provided stable environmental conditions.


Textile made from ancient wool in Eurasia date back to the Bronze Age (Rast-Eicher et al. 2005, pp. 117-131). It should be noted that the Bronze Age refers to different periods in different countries, and this chronology varies by country and region.

The choice of raw materials for textile production in a traditional society depends on a number of complex factors, primarily natural-climatic conditions and economic lifestyle. It is also important to understand the social relations (social structure) and trade links of the population. This is in fact, what determines which plant or animal fiber material a person uses to make textile. (Andersson Strand E. et al., 2010, pp. 150-151). Ancient fossils dating back to the 4th millennium BC (textile spun from goat wool) found in Central Anatolia (Aslantepe Hlayüğü) (Frangipane et al., 2001, pp. 105-139; 2009, pp. 5-29), Also, in eastern Iran (Shahr-e Sukhteh, هتخوس رهش), fragments of cloth made from goat ostrich and sheep wool of this period are preserved. (Good 2007, pp. 168-173; 2012, pp. 343-344).

In Georgia, remnants of ancient textile from the Bronze Age are found

mainly in the form of individual fragments. In the “Bedeni” culture hill tombs, the situation has changed dramatically and the amount and volume of textile (large pieces of textile) has increased dramatically. These textiles are mainly derived from the luxurious, so-called Kurgan type tombs. Luxurious tombs in the previous class era almost always belonged to pastoral farmer/herder tribes. Pastoral farming, like metallurgy, was one of the new elements of the productive forces which, by their development, disturbed the pre-existing relationship between the productive forces and the industrial relations in the primitive society. Pastoral farming tribes produced not only more produce than those that followed other forms of farming, but also produced large quantities of varying produce, which contributed to the development of regular harvesting. Exchange between tribes is widespread along with pastoral farming. For the pastoral farming tribes, the cattle were converted into a basic exchange unit; it was used to evaluate all other goods (Kavtaradze 1979, pp. 83-92).


Wool fibers and woolen textiles were the subject of intense trade. Assyrian archives, documents of Sumerian palaces and temples and of administration of Mycenaean wool tell about the mobility of textiles (Breniquet and Michel 2014; Michel 2001; Veenhof 1972). A complicated and interesting issue is the special role of textiles in the Bronze Age.



REFERENCES

- Adovasio J. M. et al. (2001) *Archaeol. Ethnol. Anthropol. Eurasia* 2001, 48
- Andersson Strand E., Gleba M., Mannering U., Nosch M.-L., Skals, I. (2010). *Old Textiles – New Possibilities // European Journal of Archaeology*. 13 (2), 149-173
- Barber E.W. (1991) *Prehistoric textiles: the development of cloth in the Neolithic and Bronze Age with special reference to the Aegean*. Princeton, New Jersey: Princeton University Press
- Barber E. J. W. (1992) *Prehistoric textiles*. Princeton: Princeton University Press.
- Barber E.W. (1999) *The Mummies of Urumchi*. New York-London: Norton end Company
- Breniquet, C. and C. Michel eds. (2014) *Wool Economy in the Ancient near East and the Aegean: From the Beginnings of Sheep Husbandry to Institutional Textile Industry (Ancient Textiles Series 17)*, Oxford
- Chubinishvili T. (1963) *Amiranis Gora (Amirani Gora)*, Tbilisi (in Georgian)
- Frangipane M., Di Nocera G. M., Hauptmann A., Morbidelli P., Palmieru A., Sadori A., Schultz M., Schmidt-Schultz T. (2001) *New symbols of e new power in a «Royal» tomb from 3000 BC Arslan-Tepe, Malatya (Turkey) // Paleorient*. Vol. 27. No. 2. P. 105–139
- Frangipane, M., Andersson Strand, E., Laurito, R., Möller-Wiering, S., Nosch, M.-L. B., Rast-Eicher, A. and A. Wisti Lassen). (2009) *Arslantepe, Malatya (Turkey): textiles, tools and imprints of textiles from the 4th to the 2nd millennium bce, Paléorient* 35
- Gleba M. , Andersson Strand E., Mannering U., Munkholt C., Ringgaard M. (eds.). (2010) *Nettle and bast fibre textiles from stone tool wear traces? The implications of wear traces on achaeological late mesolithic and neolithic microdenticulate tools . North European Symposium for Archaeological Textiles X*, 247. Oxford, Oxbow Books
- Gleba M., Krupa T. (2012) *Ukraine // Textiles and Textile production in Europe from Prehistory to AD 400 / Eds.: M. Gleba, U. Mannering*. Oxford, Oakvill: Oxbow books
- Gleba M. (2017) *Textiles in Pre-roman Italy: from a qualitative to a quantitative approach // Origini prehistory and protohistory of ancient civilisations*. 192 *Contextualising textile production in Italy in the 1st millennium BC*. Edited by Margarita Gleba and Romina Laurito. XL Roma: GANGEMI EDITORE SPA Via Giulia
- Gobejishvili G. (1967) *Bedenis Akldama. (Bedeni Akldama)* Dzeglis Megobari, Publishing house “Sabchotha Saqartvleo”, Tbilisi (in Georgian)

- Gobejishvili G. (1980) *Bedenis Gorasamarkhebis Kultura* (Bedeni Hill Culture)-“Science”. Tbilisi. (in Georgian)
- Gogochuri G., Orjonikidze Al. (2010) (Eds) (The Kura-Araxes culture settlement and cemetery at Tiseli Seri). Rescue archaeology in Georgia: the Baku-Tbilisi-Ceyhan and south Caucasian Pipelines
- Good I. (2001) Archaeological textiles: A review of current research. *Annual Review of Anthropology* 30
- Good I. (2007) Invisible exports in Aratta: Enmerkar and the three tasks // *Ancient textiles: production, craft and society* / Eds.: C. Gillis, M.-L. Nosch. Oxford: Oxbow Books
- Good I. (2012) *Textiles* // *Companion to the Archaeology of Ancient Near East*. I/ Ed. D. N. Potts et al. Oxford: Wiley-Blackwell
- Grömer K. (2016) *The Art of Prehistoric Textile Making. The development of craft traditions and clothing in Central Europe*. Veröffentlichungen der Prähistorischen Abteilung (VPA) 5. Natural History Museum Vienna
- Harris S. (2010) *Cloth Cultures in Prehistoric Europe; Project Concept and Approach* // *Archaeological Textile Newsletter*. No. 50
- Hurcombe L. (2010) Nettle and bast fibre textiles from stone tool wear traces? The implications of wear traces on archaeological late mesolithic and neolithic microdenticulate tools // Andersson Strand, E., Gleba, M., Mannering, U., Munkholt, C., Ringgaard, M. (eds.), *North European Symposium for Archaeological Textiles X*, 247. Oxford, Oxbow Books
- Javakhishvili A., Glonti L. (1962) *Urbnisi I* (Urbnisi I). Tbilisi. Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR (in Georgian)
- Jalabadze M., Esakia K., Rusishvili N., Kvavadze E., Koridze E., Shakulashvili N., Tsereteli M. (2010) *Gadachril Goraze 2006-2007 clebshi chatarebuli arqeologiuri samuSaoebis angarishi* (Report on Archaeological Works on the Resolved Hill in 2006-2007”, “Searches in Georgian Archeology), Tbilisi (in Georgian)
- Kalandadze N., Sakhvadze E. (2016) *Anauri Big Kurgan N3*. Tbilisi
- Karaulashvili Ts. (1985) *Ksovis khalkhuri ts'esebi k'akhetshi*. (Folk weaving rules in Kakheti). Publishing House “Science”, Tbilisi
- Kavtaradze G. (1979) *Samepho akldamebis sociologiuri interpretaciisatvis – masalebi sakartvelos da kavkasiis arkeologiisatvis, VII* (For Sociological Interpretation of “Royal Treasures” – Materials for Archaeology of Georgia and the Caucasus), VII, Tbilisi, “Science”, Publishing House. (In Georgian)
- Kvavadze E., Ofer Bar-Yosef, Belfer-Cohen A., Boaretto E., Jakeli N., Matskevich Z., Meshveliani T. (2009) 30,000-Year-Old Wild Flax Fibers. *Science*. October
- Kvavadze E., Jalabadze M., Koridze E., Rusishvili N., Chichinadze N., Martko-



- phlishvili I., (2014) *Gadachrili Goris da Shulaveris Goris namosakhlarebis pen-ebisa da churchlis palinologiuri kvlevis shedegebi (2007 tsels mopovebuli masalis mikhedvit)* (Results of Palinological study of the layers and vessels of the settled Gori and Shulaveri settlements (2007). According to the obtained material). Matsne N6, Tbilisi. (in Georgian)
- Kushnareva K.Kh., Chubinishvili T.N. (1970) *Drevniye kulturi Yuzhnogo Kavkaza (V-III tis. Do n.e.)* (Ancient Cultures of Southern Caucasus (V-III mill.BC). Leningrad: "Nauka" Publishing House, Leningrad Branch (in Russian with English Resume)
 - Makharadze Z., Kalandadze N., Murvanidze B.(Eds). (2016) Ananuri Big Kurgan N3
 - McCorriston J. The Fiber Revolution. (1997) Textile extensication, alienation, and social stratication in Ancient Mesopotamia // *Current Anthropology*. Vol. 38. No. 4, 517-549
 - Medvedeva P.S. (2019) *Tekstil v pozdnem bronzovom veke Yuzhnogo Urala* (Textiles in the Late Bronze Age of the Southern Urals). Archeolog.ru/media/dissovet/Medvedeva_diss_2.pdf, Chelyabinsk (in Russian).
 - Michel, C. (2001) *Correspondance des marchands de Kaniš au début du Ile millénaire av. J.-C.*, Paris
 - Mindiashvili G. Gudabertqa – Eine Siedlung der Kura-Araxes Kultur. Gold & Wein, Georgiens älteste Schätze, Begleitband zur Sonderausstellung 6. Oktober 2018 – 10. Februar 2019 Archäologisches Museum Frankfurt, Herausgegeben von Liane Giemsch und Svend Hansen. Collection of scientific articles (in German)
 - Rast-Eicher A. (2005) Bast before wool: the first textiles // Bichler P, Grömer K, Hofmann-de Keijzer R, Kern A, Reschreiter H (eds.) *Hallstatt textiles: technical analysis, scientific investigation and experiment on Iron Age textiles*. Archaeopress, Oxford
 - Rusishvili N. (1990) *Kulturnyye rasteniya na rannikh poseleniyakh Gruzii po paleoetnobotanicheskim issledovaniyam*. (Cultural plants of early settlements of Georgia after paleontobotanical research. step. kand. viol. science. Kishinev (in Russian)
 - Shishlina N.I., Orfinskaya O.V., Golikov V.P. (2003) (Bronze Age textiles from the North Caucasus: new evidence of Fourth millennium BC fibres and textiles. *Oxford Journal of Archaeology* 22(4).
 - Veenhof, K. (1972) *Aspects of Old Assyrian Trade and its Terminology (Studia ET documenta adiura orientis antiqui pertinentia 10)*, Leiden.


თსბუღები

TABLES

ტაბ./Tab.I

ამირანის გორა. ენეოლით-ადრებრინჯაოს ხანა (ქალკოლითი). ქსოვილის ანაბეჭდი
კერამიკის ნაწარმზე

Amiranis Gora. Eneolithic-Early Bronze Age (Calcolithic). Textile print on the ceramic



ტაბ/Tab.II

ყაზბეგის განძი. ქსოვილის ფრაგმენტი. გვიანბრინჯაოს ხანა. N 2-02:44/220

Hoard of Kazbegi. Textile fragment. Late Bronze Age. N 2-02:44/220





ტაბ / Tab.III



ტაბ.III-1. დოღლაურის სამაროვანი. N 874 სამარხში აღმოჩენილი სელის ძაფის ფრაგმენტის N 27-2012:874 სტერეო მიკროსკოპ (X10) „LEICA M80“-ით კვლევა
 Tab.III-1. Doghlauri Semmetry. Fragment of flax thread found in tomb N 874, N 27-2012:874 Research done using stereo microscope (X10) „LEICA M80“



ტაბ. III-2. დოღლაურის სამაროვანი. N 874 სამარხში აღმოჩენილი სელის ძაფის ფრაგმენტის N 27-2012:874 სინათლის მიკროსკოპ „LEICA FSCB“ -ით (X400) კვლევა
 Tab. III-2. Doghlauri Semmetry. Fragment of flax thread found in tomb N 874, N 27-2012:874. Research done using light microscope “LEICA FSCB” (X400)




ტაბ.III-3. დოღლაურის სამაროვანი. N 874 სამარხში აღმოჩენილი სელის ძაფის ფრაგმენტის N 27-2012:874 პოლარიზაციული მიკროსკოპ „Leica DM2500 P“ -ით (X160) კვლევა
 Tab.III-3. Doghlauri Semmetry. Fragment of flax thread found in tomb N 874, N 27-2012:874. Research done using “Leica DM2500 P” (X160) polarizing microscope




ტაბ./Tab.IV

ტაბ.IV-1. დოღლაურის სამაროვანი. N 192 სამარხში აღმოჩენილი სელის ქსოვილის ფრაგმენტის N 27-2012:1225 სტერეო მიკროსკოპული კვლევა (X10) “LEICA M80“-ით
 Tab.IV-1. Doghlauri Settlement. N 27-2012:1225 stereo microscopic examination of flax textile fragment found in tomb N 192 (X10) with “LEICA M80”



ტაბ. IV-2.დოღლაურის სამაროვანი. N192 სამარხში აღმოჩენილი სელის ქსოვილის ფრაგმენტის N 27-2012:1225 სინათლის მიკროსკოპ „LEICA FSCB“-ით (X400) კვლევა
 Tab. IV-2. Doghlauri Settlement. Examination of a flax textile fragment found in tomb N192, N 27-2012:1225 with a light microscope “LEICA FSCB” (X400)



ტაბ. IV-3. დოღლაურის სამაროვანი. N192 სამარხში აღმოჩენილი სელის ქსოვილის ფრაგმენტის N 27-2012:1225 პოლარიზაციული მიკროსკოპ „Leica DM2500 P“-ით (X160) კვლევა
 Tab. IV-3. Doghlauri Settlement. Examination of a flax textile fragment found in tomb N192 N 27-2012:1225 with a “LEICA DM2500 P” (X160) polarizing microscope



თავი II

საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები

თეა კინურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე, ირინე კოშორიძე,
იზოლდა მელიქიშვილი

CHAPTER II

TEXTILE-RELATED TOOLS

Tea Kintsurashvili, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze, Irine Koshoridze, Izolda Melikishvili



თავი II

საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული იარაღები

თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე, ირინე კომორიძე, იზოლდა მელიქიშვილი

საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენილი საფეიქრო საქმიანობასთან დაკავშირებული პრეისტორიული ხანის შრომის იარაღები. ესოდენ დიდი რაოდენობით ქსოვილის დასამზადებელი იარაღების აღმოჩენა გვაფიქრებინებს, რომ ქსოვილის წარმოება საკმაოდ მრავალფეროვანი და მაღალი წარმადობის უნდა ყოფილიყო. ნეოლით-ენეოლითის ეპოქა კაცობრიობის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ხანაა, როდესაც ადამიანმა დაიწყო მწარმოებლურ მეურნეობაზე გადასვლა. ჩნდება პირველი სოფლის ტიპის დასახლებები. შულავერი-შომუთეფეს კულტურის ძეგლებზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ქსოვასთან დაკავშირებული სამუშაო იარაღები: კვირისტავეები, ნემსები, მახათები, სადგისები და სხვა, რაც ქსოვილის წარმოებასა თუ ტყავის დამუშავებას უკავშირდება. ამ ძეგლებზე დასტურდება მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ძაფის ბოჭკოები. ამ მხრივ საინტერესოა, არუხლოს ნამოსახლარზე აღმოჩენილი ენეოლით-ადრებრინჯაოს (ქალკოლითი) პერიოდის ძვლის მახათები და ნემსები, ხრამის დიდ გორაზე მოპოვებული ძვლის მახათები, ნემსები, საბეჭავები (საქართველოს არქეოლოგია II, 1992), სამელე კლდის მღვიმეში და ბერიკლდეებზე მოპოვებული დიდი რაოდენობით თიხის კვირისტავეები, სადგისები, ნემსები, ნემს-მახათები (ჯავახიშვილი 1971, გვ. 61, 65, 73, 75), სამშვილდეში მოპოვებული კვირისტავეები (მირცხულავა 1975, გვ. 83, 85, 90, 91), ქვემო ქართლის ძეგლების ენეოლითურ ფენებში აღმოჩენილი კვირისტავეები (ფხაკაძე 1963, გვ. 21, 30, 49, 54), ასევე, სამარხებში ჩატანებული კვირისტავეები, ნემსები, მახათები (ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, 1975; ჩუბინიშვილი 1963, გვ. 36-37; 42), (ტაბ. I-IV).

ჩვენს მიერ მაკროსკოპულად შესწავლილია საგვარჯილეს მღვიმეში აღმოჩენილი ენეოლითის პერიოდის კვირისტავეები. სამ მათგანში დაფიქსირდა ძაფის ნაშთი (ტაბ. V). აღსანიშნავია აგრეთვე, თეთრ მღვიმეში (ქვემო ქართლი) თიხის სადა და ორნამენტირებული კვირისტავეები, საქსოვი ჩხირები, რომლებიც რთვისა და ქსოვის გარკვეულ ჩვევებზე მიგვითითებენ. ძვლის იარაღები თითქმის არ განსხვავდებიან ენეოლითურ პორიზონტებში წარმოდგენილი ცალებისაგან (კალანდაძე 1999, გვ. 9). ქსოვაზე უნდა მიგვანიშნებდეს თიხის კონუსური და ბიკონუსური კვირისტავეების დიდი რაოდენობა და ჭურჭლის ძირებზე დარჩენილი ქსოვილის ანაბეჭდები (საქართველოს არქეოლოგია

II. 1992, გვ.223, 230, 248). სამელე კლდის მღვიმეში აღმოჩენილი კვირისტავეები ქსოვასთან არის დაკავშირებული და მათი სხვა ფუნქციონალური დანიშნულება ძნელად წარმოსადგენია, ხოლო რაც შეეხება თიხის ბორბლის იმიტაციებს, რომლებიც კვირისტავეებისაგან გამოირჩევიან როგორც ფორმით, ისე ზომებითაც, მათი დანიშნულება ჯერჯერობით გაურკვეველია. დღეისათვის ცნობილი ენეოლითური ხანის ძეგლებად მიჩნეულ კავკასიის არცერთ სადგომსა და ნამოსახლარზე არ არის მოპოვებული ასეთი დიდი რაოდენობის თიხის კვირისტავეები. კვირისტავეები თავისი ორნამენტაციით თამამად შეიძლება ჩაითვალოს ხელოვნების ნიმუშად. მათი დამზადებისას ადამიანს უზრუნვია არა მხოლოდ პრაქტიკულ დანიშნულებაზე, არამედ ესთეტიკურ მხარესაც აქცევდა ყურადღებას, და წინასწარ გააზრებული ჭდეული და ნაკანრი ორნამენტით ამკობდა (ჯავახიშვილი 1971, გვ. 65, 66, 73, 75). მეცნიერთა აზრით, კვირისტავეების უმრავლესობაზე ვხვდებით მზის სტილიზებულ გამოსახულებას, სხივისებურად განლაგებულ წერტილოვან, წინვოვან, ხაზოვან და ფრჩხილისებურ ჭდეებს, რომლებიც დინამიურადაა გადმოცემული, რაც შესაძლოა დაკავშირებული იყოს მზის კულტთან (ტაბ. VII).

ზოგადად ცნობილია, რომ ქსოვა და მასთან დაკავშირებული საქმიანობა უფრო დიდ ხანგრძლივ დროს მოითხოვდა, ვიდრე საჭმლის მომზადება და მეთუნეობა ერთად აღებული. სხვადასხვა კვლევებმა დაადასტურა, რომ 60 კგ მატყლის ბოჭკოდ ქცევას, სჭირდება დაახლოებით 2 საათი, ხოლო ნატიფი შალის ქსოვილის დამზადებას - 94 საათამდე. გაცილებით უფრო მეტ დროს მოითხოვს სელის ბოჭკოს მიღება და შემდგომ მისგან ქსოვილის დამზადება (McCorriston 1997, pp. 517-549).

დართული ძაფის მახასიათებლები დამოკიდებულია კვირისტავის ზომაზე, თითისტარისა და კვირისტავის დიამეტრზე. მსუბუქი თითისტარით (10 გრ-ზე ნაკლები) ძალიან წვრილი ძაფის დართვაა შესაძლებელი, უფრო სქელი ძაფი მიიღება უფრო მძიმე თითისტარით (Olofsson et al. 2015). მეორე მნიშვნელოვანი დაკვირვება არის ის, რომ თავად ინსტრუმენტები და ბოჭკო განსაზღვრავს ძაფის ხარისხს, და არა თვითონ მქსოველი. როდესაც თითისტარი 4 გრამია, მქსოველი 35 მეტრს მოქსოვს საათში, თუ 8 გრამიანია, მაშინ ერთ საათში 40 მეტრს, 18 გრამიანი - 50 მეტრს. ნათელია, რომ რაც უფრო წვრილია ძაფი, მით უფრო მსუბუქ თითისტარზე ირთვება და მეტი დრო სჭირდება მის დართვას. ასევე საგულისხმო ფაქტს წარმოადგენს ის, რომ სანაფის წონაზეა დამოკიდებული რამდენი ძაფი და სიმჭიდროვეა საჭირო გარკვეული ქსოვილის დასამზადებლად. სანაფების სისქის მიხედვით შეიძლება განსაზღვრულიყო, თუ რა სიახლოვით უნდა განლაგებულიყო ქსელის

დაფები. ამ მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი გახდა სანაფებიანი დაზგების სპეციფიკაცია, თუ რომელ დაზგაზე როგორი ქსოვილი იქსოვებოდა (Firth 2015, pp. 153-195).

ჰორიზონტალური დაზგა ერთ-ერთი უძველესი უნდა იყოს წინა აზიასა და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის რეგიონში. ამ ტიპის უძველესი დაზგის აღწერა უკვე ნეოლითური ეპოქით თარიღდება და მომდინარეობს ბადარიდან (ეგვიპტე) - ანაბექდი თეფშზე (Barber 1991, pp. 83-91; Broudy 1979, p. 38).

ჰორიზონტალური დაზგის უადრესი გამოსახულება გვხვდება მესოპოტამიაში (ძვ.წ. IV ათასწლეული), ასეთი დაზგების გამოყენება ყველაზე ხშირია ეგვიპტეში (Vogelsang-Eastwood 1993, pp. 28-29).

ვერტიკალური მბრუნავლერძიანი დაზგა პირველად მესოპოტამიასა და სირიაში დასტურდება, თუმცა მისი პირველი გამოსახულებები ეგვიპტეშიც გვხვდება (Barber 1991). ვერტიკალური დაზგა უპირველესად ასოცირდება მატყლის შემოტანასთან ქსოვაში, რადგანაც მასზე იქსოვება ფარდაგული და ხალიჩური ნაწარმი (Barber 1991, pp. 113-116; Broudy 1979, p. 44). ახალი კვლევები ასევე ადასტურებს, რომ ადრებრინჯაოს ხანაში (ძვ.წ. 1500) ასეთ დაზგებს სკანდინავიურ ქვეყნებშიც იყენებდნენ (Mannering et al. 2012, p. 102), (ტაბ. IX). ფაქტია, რომ საქსოვმა დაზგამ უდიდესი როლი შეასრულა კაცობრიობის ისტორიაში და ეს გამოგონება იმდენად სრულყოფილი აღმოჩნდა, რომ დღესაც კი ათასწლეულების შემდეგ, საქსოვი დაზგა კვლავ წარმატებით გამოიყენება. საქართველოს ეთნოგრაფიული ყოფის უმნიშვნელოვანეს ატრიბუტს - საქსოვ დაზგას, საფეიქრო საქმის ოსტატებს და მათ საქმიანობას მრავლად ვხდებით დიმიტრი ერმაკოვისა და სერგი მაკალათიას ფოტო არქივში (ფოტო NN 1-6).

ყორღანული სამარხებიდან მომდინარე ქსოვილის შესწავლილ ერთეულებში, ბოჭკოს სისქე/დიამეტრი მერყეობს 0.001-0.3 მმ-დე, ხოლო ნართის სისქე/დიამეტრი 0.2-1 მმ-მდე. ქსოვილში დაფიქსირებულია ძაფის გრეხის S-ქსოვა. ქსოვილები, სადაც დაფიქსირებულია S-ქსოვა, სავარაუდოდ მოქსოვილია დაზგაზე. ჩვენს მიერ ლაბორატორიულად შესწავლილი ყველა ქსოვილი წარმოადგენს ბუნებრივი მატყლის ძაფისგან ნაქსოვ შალს. რასაკვირველია, ეს ფაქტი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ადრეული ყორღანული კულტურის მატარებელი საზოგადოება არ მოიხმარდა სელის ქსოვილს. ანანაურის N3 ყორღანში პალინოლოგიური კვლევის შედეგად შალის გარდა დაფიქსირებულია სელის ქსოვილის ნიმუშებიც. ასე მაგალითად, ერთ-ერთი ქსოვილის ფრაგმენტი აღმოჩენილია ყორღანის დასავლეთ ნაწილში, წარმოადგენს შალისა და სელის ნარევი ძაფისგან დამზადებულ ქსოვილს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სელის ძაფი მეტია, ვიდრე შალისა, ქსოვილზე თაფლის ნარჩენებია. მეორე სელის ქსოვილი აღმოჩენილია ერთ-ერთი მიცვალებულის ჩონჩხთან. აქაც ტექსტილზე მინებებულია თაფლის ნარჩენები (Kvavadze 2016). შალის და სელის ქსოვილის ნაწარმი დიდ როლს თამაშობს დაკრძალვის რიტუალში. არქეოლოგიური კონტექსტის გათვალისწინებით მხოლოდ ანანაურის ყორღანული მასალა (პალინოლოგიური კვლევის შედეგები) იძლევა ქსოვილის ინდივიდთან დაკავშირების შესაძლებლობას: ერთ შემთხვევაში სელის და შალის ნარევი ძაფისაგან დამზადებულ ქსოვილი, და მეორე შემთხვევაში სელის ქსოვილი, რომელიც დაკავშირებულია თაფლით ბალზამირების ფაქტთან.

აშკარაა, რომ ჩვენს მიერ შესწავლილი ქსოვილები გამოირჩევიან „განსაკუთრებულობით“, და ამიტომაც აღმოჩნდნენ ისინი „იმქვეყნიური ცხოვრების“ უმნიშვნელოვანეს ატრიბუტად. საქართველოს ტერიტორიაზე, ანანაურის N3 ყორღანულ სამარხში პირველად ვხვდებით დეკორატიულად გაფორმებულ ქსოვილებს: დამატებით მისაქსელ ძაფებს, ქსელის ძაფების საზედაო გაფორმებას, დაზგაზე მოქსოვილ და შეღებილ ქსოვილის ფრაგმენტებს. საფიქრებელია, რომ დაკრძალვის რიტუალის გარდა, ეს ქსოვილის ნაწარმი ყოველდღიურ ყოფაშიც გამოიყენებოდა. რთულია ზუსტად განისაზღვროს ადრეული ყორღანული პერიოდის ქსოვილების ფუნქცია, თუმცა ორ შემთხვევაში ექსპერიმენტული კვლევების შედეგად აღდგენილი ქსოვილები გვაძლევს

ვარაუდის საფუძველს, რომ ქსოვილები N10-2016/30; N10-2016/26 - დეკორატიული ქსოვილებია, რომელთაც შესაძლოა ყოველდღიურ ყოფაში, ე.წ. გასაფორმებელი ფუნქცია შეესრულებინათ: საყოფაცხოვრებო ნივთების გაფორმება, მაგ. ავეჯის გადასაფარებელი ან სხვ. ამ მხრივ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ერთ-ერთი ქსოვილი - N10-2016/30 აღმოჩენილია ეტლის მიმდებარედ და არ არის გამორიცხული, რომ დაკრძალვის რიტუალში ეტლების გასაფორმებლად იყო გამოყენებული. უძველესი ქსოვილების შესწავლის ფარგლებში, გერმანიის არქეოლოგიური ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების და ქართველი სპეციალისტების მიერ ერთობლივად ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაყრდნობით განხორციელდა ანანაურის N3 ყორღანულ სამარხში აღმოჩენილი ორი ქსოვილის (N10-2016/30; N10-2016/26) რეკონსტრუქცია/ვიზუალიზაცია. ვფიქრობთ, რომ უძველესი ქსოვილების შესწავლისათვის უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში, კერძოდ კი საქართველოში აღმოჩენილი, ჩვენს მიერ პუბლიკაციაში მოცემული ბრინჯაოს პერიოდის ქსოვილის ნიმუშები. მართალია ბევრი საკითხი ჯერ კიდევ იმსახურებს სიღრმისეულ კვლევებს, მაგრამ აშკარაა, რომ უძველესი საფეიქრო წარმოების რამდენიმე დიდ რეგიონთა რიცხვში აღმოსავლეთ ანატოლიას, ეგეოსის, ჩრდილო აფრიკისა და ჩრდილო ევროპის ჰალშტატის მარილის საბადოების ტერიტორიებს შორის, საქართველო უთუოდ იკავებს საპატიო ადგილს, როგორც ქსოვილის წარმოების უძველესი კერა.

ბიბლიოგრაფია

- ბენდუკიძე თ., (2013) ფაუნის ოსტეოლოგიური ნაშთები არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (ინტერდისციპლინარული კვლევები), იბერია-კოლხეთი N9
- გოგოჭური გ., ორჯონიკიძე ალ., (2010) „თისელის სერის მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარი და სამაროვანი“, სტატიების კრებული „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში“, თბილისი
- ლორთქიფანიძე ოთ., (2002) ძველი ქართული ცივილიზაციის სათავეებთან. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი
- ყვავაძე ე., (2016) ანანაურის N3 დიდი ყორღანი. თბილისი
- ჯავახიშვილი ალ., ლლონტი ლ., (1962) ურბნისი I. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. თბილისი
- Alberti, M. E., (2005) I sistemi ponderali dell'Egeo nell'età del bronzo. Studi, storia, pratica e contatti, *Annuario della scuola archeologica di Atene* 81(serie III, 3, 2003/ii)
- Andersson Strand, E. and M.-L. Nosch eds. 2015. *Tools, Textiles and Contexts: Textile Production in the Aegean and Eastern Mediterranean Bronze Age* (Ancient Textiles Series 21), Oxford
- Breniquet, C. and C. Michel eds., (2014) *Wool Economy in the Ancient Near East and the Aegean: From the Beginnings of Sheep Husbandry to Institutional Textile Industry* (Ancient Textiles Series 17), Oxford
- Burke, B., (1999) Purple and Aegean textile trade in the early second millennium bc, in *Meletemata: Studies in Aegean Archaeology Presented to Malcolm H. Wiener as He Enters his 65th Year* (Aegaeum 20), ed. P. P. Betancourt, V. Karageorghis, R. Laffineur and W. D. Niemeier, Liège and Austin
- Burke, B., (2010) Textiles, in *The Oxford Handbook of the Aegean Bronze Age*, ed. E. H. Cline, Oxford
- De Fidio, P., (1999) On the routes of Aegean Bronze Age wool and weights, *Minos*
- Firth, R. T. and M.-L. Nosch, (2012) Spinning and weaving wool in Ur III administrative texts, *Journal of Cuneiform Studies* 64, 67–84
- Frangipane, M., Andersson Strand, E., Laurito, R., Möller-Wiering, S., Nosch, M.-L. B., Rast-Eicher, A. and A. Wisti Lassen), (2009) Arslantepe, Malatya (Turkey): textiles, tools and imprints of textiles from the 4th to the 2nd millennium bce, *Paléorient* 35
- Militello, P., (2007) Textile industry and Minoan palaces, in *Ancient Textiles, Production, Craft and Society* (Ancient Textiles Series 1), ed. C. Gillis

and M.-L. Nosch, Oxford, 36–45

- Nosch, M.-L., (2015) The wool age: traditions and innovations in textile production, consumption and administration, in the Late Bronze Age Aegean, in Tradition and Innovation in the Mycenaean Palatial Polities, ed. J. Weilharter and F. Ruppenstein, Vienna
- Parise, N., (1986) Pesi egei per la lana, La Parola del Passato 227
- Petruso, K. M., (1986) Wool evaluation at Knossos and Nuzi, Kadmos 25 (1)
- Rahmstorf, L., (2003) The identification of early Helladic weights and their wider implications, in METRON: Measuring the Aegean Bronze Age (Aegaeum 24), ed. K. Polinger and R. Laffineur, Liège
- Rast-Eicher, A. and L. Bender Jørgensen., (2013) Sheep wool in Bronze Age and Iron Age Europe, Journal of Archaeological Science 40
- Ryder, M., (1983) Sheep and Man, London
- Shamir, O., (2014) Textiles, basketry, and other artifacts of the Chalcolithic period in the southern Levant, in Masters of Fire: Copper Age Art from Israel, ed. M. Sebbane, O. Misch-Brandl and D. M. Master, Princeton
- Younger, J., (2005) Cretan hieroglyphic wool units (LANA, double mina), in Studi in onore di Enrica Fiandra: contributi di archeologia egea e vicinorientale (Studi egei e vicinorientali 1), ed. M. Perna
- Кушнарева К.Х, Чубинишвили Т.Н., (1970) Древние культуры Южного Кавказа (V-III тыс. до н.э.). изд. «Наука», Ленинград


Chapter III

Early Kurgan culture textiles from Georgia

Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze

There is an opinion that the use of wool for household purposes dates back to the Neolithic period. In the Bronze Age, wool began to spread widely and wool processing and production methods improved. Introduction of wool has led to fundamental changes in textiles (Breniquet and Michel 2014; Nosch 2015). In some texts of the Bronze Age, textile activity is described with great accuracy and terms appear referring to woolen textile (Firth and Nosch 2012). According to some scholars, wool, both dyed (purple) and non-dyed, became an exclusive commodity, strengthening strong trade links between the Mediterranean, Anatolian, Assyrian, and Middle Eastern trade centers (Burke 1999, 2010; Militello 2007). As it is known from scientific literature, the first woolen textile was found in Anatolia and dates back to 3000-2900 BC. In the Levant wool textiles appear only from the Middle Bronze Age. Such late Bronze Age textiles are found in the eastern Mediterranean (Andersson Strand and Nosch 2015; Frangipane et al. 2009; Ryder 1983; Shamir 2014), as well as in northern and central Europe and the Balkans (Rast-Eicher and Bender Jørgensen 2013, p. 138 –152). According to various sources (texts) many scientists suggest that there was a special measuring system for wool in the Mediterranean basin and the Middle East, and this system must have been completely independent. (Alberti 2005, p. 609; De Fidio 1999; Parise 1986; Petruso 1986; Rahmstorf 2003; Younger 2005).

In the first half of the 3rd millennium BC, on the territory of Georgia, the biggest role of cattle farming/herding was already seen in the livelihood of the population of that time. Proof of this is the emergence of symbolic images and highly stylized bull and sheep sculptures. Images of sheep are commonly seen on clay and metal objects. If before, wild totem animals (e.g. deer) played a major role, now the old notions are being reinterpreted in favor of domestic animals (Kushnareva and Chubinishvili 1970, p. 168). Shepherding seems to have been quite developed at this time (local long-tailed semi soft yarn sheep), hence probably the same goes for woolen textile production. (Javakhishvili and Glonti 1962, p. 50; Lordkipanidze 2002, p. 75). Interesting is the small figure of a pink-brown roasted clay animal (sheep?) Found in the area of structure N3 of the Tiseli Seri settlement. Sheep figures often appear on the Mtkvar-Araks settlements. We find more or less similar figures on such monuments as Amirantsikhe Amirani Gora, Khizanant Gora, Kvatskhela and others (Gogochuri and Orjonikidze 2010,



p.115). It should be noted that the domestic sheep of the prehistoric period with its morphology, primarily according to the structure of the horns, is fundamentally different from the breed that is common in our time in Georgia, namely Tush and Imereti sheep. Prehistoric sheep had spirally curved horns. The present sheep breeds were supposed to have appeared only at the beginning of antiquity (Bendukidze 2013, p. 135).

We have studied the textiles found in the Kurgan tombs of Bedeni N5, N10, Ananuri N3 in the Bronze Age (19 units in total, see the catalog) and used stereo microscope "LEICA M80" and binoculars "AMPSCOPE MD35" to determine the technical characteristics of each textile. To determine the fiber composition, five tissues were examined using a "Leica DM 2500 P microscope" (160X), a "LEICA FSCB" light microscope (200-400X), and a "Leica M 2500" light microscope (160X). In order to determine the fiber composition of the tissues, microsubstances were prepared for each tissue in a drop of water-glycerol mixture (1:1 ratio) ¹.

Results of Microscopic Examination

Textile N 134-975/206. Bedeni Gora-Tomb N5) are beige-brown wool fibers (Tab. I).

Textile N 134-975/331a. Bedeni Gora-Tomb. Kurgan N 10) is a fragment of a black woolen cloth, woven into a plain weave, with a single-strand plaid yarn (Tab. II).

Textile N 10-2016/28. Ananuri Big Kurgan N3) is a black-brown platted woolen yarn consisting of six-plait Ply Yarns. It has a loop-like shape in the middle of a relatively long thread (Tab. III).

Textile N 10-2016/29. Ananuri Big Kurgan N3) is a brownish-reddish wool yarn consisting of a right side single platted yarn (Tab. IV).

Textile N 10-2016/24. Ananuri Big Kurgan N3) are fragments of black colored wool textile (Tab. V).

From the burial Kurgans, the thickness/diameter of the fiber in the studied textile units varies from 0.001-0.3 mm, and the thickness/diameter of the yarn from 0.2 mm -1 mm. Only S-weaving of yarn is observed in the textile, textiles with S-weaving are knitted on the loom. All the textiles we have studied in the laboratory are wool woven from natural wool yarn. Surprisingly, this fact does not entirely mean that the society bearing the early Kurgan culture did not use flax fiber. In addition to the wool, samples of flax textile were also found as a result of palynological research in the Ananuri N3


¹ Research was conducted by the Levan Samkharauli National Forensics Bureau. Dodo Chorgolashvili, Head of materials, Materials and plants examinations division of the chemical-narcological expertise department and Manoni Kutateladze, expert.

Kurgan. For example, a fragment of one of the textiles found in the western part of the Kurgan is a textile made of a mixture of wool and flax yarn. It should also be noted that there is more flax yarn than wool. Honey residue is found on the textile. A second flax fiber was found near the skeleton of one of the dead. Here, too, honey residue is embedded in textiles (Kvavadze 2016). Wool and flax textiles play a big role in the funeral ritual. Given the archaeological context, only the Kurgan material from Ananauri (results of a palynological study) allows the textile to be connected to an individual, in one case a textile made of a mixture of flax and wool yarn and in the other case, a flax textile associated with honey embalming.

It is obvious that the textiles we have studied are distinguished by their "specialness", and that is why they have turned out to be the most important attribute of the otherworldly life. On the territory of Georgia, in Ananauri N3 Kurgan, we meet for the first time decoratively made textiles: additional weaving threads, superficial decoration of net threads, a piece of woven and dyed textile on the loom. It is conceivable that in addition to the funeral rites, these cloth products were also used in everyday life. It is difficult to accurately determine the function of tissues in the early Kurgan period, although in two cases the tissues recovered in the form of experimental studies give us reason to believe that the tissues N10-2016/30; N10-2016/26 - are artistically made textiles that may have a so-called decorative function in everyday life: Decoration of household items, such as furniture covers or others in this regard, is noteworthy, one cloth N10-2016/30 was found near the chariot and it is possible that it was used to decorate the chariot during the funeral ritual.

In the framework of the study of ancient tissues, based on the results of joint research conducted by the Eurasia Department of the German Archaeological Institute and Georgian specialists, two tissues (N10-2016/30; N10-2016/26) found in the Ananauri Big Kurgan N3 were reconstructed/visualized.


We think that the most important stage for the study of ancient textiles are the samples given by us to the publication, found in the South Caucasus, in particular in Georgia, from the Bronze Age. Many issues still deserve in-depth research, but one thing is clear: among a number of large regions of ancient textile production, including Eastern Anatolia, the Aegean, North Africa, and the Hallstatt salt deposits in northern Europe, Georgia undoubtedly occupies an honorary place as an ancient textile producer.



REFERENCES

- Alberti, M. E., (2005) I sistemi ponderali dell'Egeo nell'età del bronzo. Studi, storia, pratica e contatti, *Annuario della scuola archeologica di Atene* 81(serie III, 3, 2003/ii)
- Andersson Strand, E. and M.-L. Nosch eds., (2015) *Tools, Textiles and Contexts: Textile Production in the Aegean and Eastern Mediterranean Bronze Age* (Ancient Textiles Series 21), Oxford
- Bendukidze T., (2013) *Paunis osteologiuri nashtebi arkeologiuri monatsemebis mikhedvit (interdisciplinaruli kvlevebi)* (Ossetological remains of fauna according to archaeological data (interdisciplinary studies), *Iberia-Kolkheti* N9, 013, p.135. (in Georgian)
- Breniquet, C. and C. Michel eds., (2014) *Wool Economy in the Ancient Near East and the Aegean: From the Beginnings of Sheep Husbandry to Institutional Textile Industry* (Ancient Textiles Series 17), Oxford
- Burke, B., (1999) Purple and Aegean textile trade in the early second millennium bc, in *Meletemata: Studies in Aegean Archaeology Presented to Malcolm H. Wiener as He Enters his 65th Year* (Aegaeum 20), ed. P. P. Betancourt, V. Karageorghis, R. Laffineur and W. D. Niemeier, Liège and Austin
- Burke, B., (2010) Textiles, in *The Oxford Handbook of the Aegean Bronze Age*, ed. E. H. Cline, Oxford
- De Fidio, P., (1999) On the routes of Aegean Bronze Age wool and weights, *Minos*.
- Firth, R. T. and M.-L. Nosch., (2012) Spinning and weaving wool in Ur III administrative texts, *Journal of Cuneiform Studies*
- Frangipane, M., Andersson Strand, E., Laurito, R., Möller-Wiering, S., Nosch, M.-L. B., Rast-Eicher, A. and A. Wisti Lassen), (2009) *Arslantepe, Malatya (Turkey): textiles, tools and imprints of textiles from the 4th to the 2nd millennium bce*, *Paléorient* 35
- Gogochuri G., Orjonikidze Al., (2010) *"Tiselis seris mtkvar-araksis kulturis namosakhlari da samarovani" statiebis krebuli "bako-tbilisi-jeihani samkhret kavkasiis milsadeni da arkeologia sakartveloshi"*. (Tiseli Seri Mtkvar-Araks Culture Settlement and Cemetery", collection of articles "Baku-Tbilisi-Ceyhan South Caucasus Pipeline and Archaeology in Georgia"), Tbilisi
- Javakhishvili Al., Glonti L., (1962) *Urbnisi I* (Urbnisi I). Publishing House of the Academy of Sciences of the Georgian SSR. Tbilisi.(in Georgian)
- Kvavadze E. 2016. *Ananuri Big Kurgan N3*. Tbilisi
- Kushnareva K.Kh., Chubinishvili T.N., (1970) *Drevniye kulturi Yuzhnogo Kavkaza (V-III tis. Do n.e.)* (Ancient Cultures of Southern Caucasus (V-III mill. BC). Leningrad: "Nauka" Publishing House, Leningrad Branch (in Russian)

- with English Resume)
- Lordkipanidze Ot., (2002) *Sakartvelo tsivilizatsiis sataveebtan* (Georgia with the origins of civilization), University of Georgia Publishing House. Tbilisi, (in Georgian)
 - Militello, P., (2007) Textile industry and Minoan palaces, in *Ancient Textiles, Production, Craft and Society* (Ancient Textiles Series 1), ed. C. Gillis and M.-L. Nosch, Oxford, 36-45
 - Nosch, M.-L., (2015) The wool age: traditions and innovations in textile production, and administration, in the Late Bronze Age Aegean, in *Tradition and Innovation in the Mycenaean Palatial Polities*, ed. J. Weilharter and F. Ruppenstein, Vienna.
 - Parise, N., (1986) *Pesi egei per la lana*, *La Parola del Passato* 227
 - Petruso, K. M., (1986) Wool evaluation at Knossos and Nuzi, *Kadmos* 25 (1)
 - Rahmstorf, L., (2003) The identification of early Helladic weights and their wider implications, in *METRON: Measuring the Aegean Bronze Age* (Aegaeum 24), ed. K. Polinger and R. Laffineur, Liège.
 - Rast-Eicher, A. and L. Bender Jørgensen., (2013) Sheep wool in Bronze Age and Iron Age Europe, *Journal of Archaeological Science* 40
 - Ryder, M., (1983) *Sheep and Man*, London
 - Shamir, O., (2014) Textiles, basketry, and other artifacts of the Chalcolithic period in the southern Levant, in *Masters of Fire: Copper Age Art from Israel*, ed. M. Sebbane, O. Misch-Brandl and D. M. Master, Princeton
 - Younger, J., (2005) Cretan hieroglyphic wool units (LANA, double mina), in *Studi in onore di Enrica Fiandra: contributi di archeologia egea e vicinorientale* (Studi egei e vicinorientali 1), ed. M. Perna





ფოტოები და ტაბულები

PHOTOS AND TABLES

ქსოვილის ასლი/ Copy of textile N10-2016/30



ქსოვილის ასლი/ Copy of textile N10-2016/26






ტაბ./Tab.I. ქსოვილი. N134-975:206. ბედენის გორასამარხი, ყორღანი N5
Tissue Fragment N134-975:206. Bedeni Hill-Cemetery, Kurgan N5

1. სტერეო მიკროსკოპ "LEICA M80"-ით (10X) კვლევა
Examination with a stereo microscope "LEICA M80" (10X)



2. სინათლის მიკროსკოპ "LEICA FSCB"-ით (200X400) კვლევა
Examination with a light microscope "LEICA FSCB" (200X400)




3. პოლარიზაციული მიკროსკოპ "Leica DM2500 P" -ით (160X) კვლევა
Examination with a polarizing microscope "Leica DM2500 P" (160X)




ტაბ./Tab.II. ქსოვილის ფრაგმენტი. N134-975:331a. ბედენის გორასამარხი. ყორღანი N10
Tissue Fragment N 134-975:331a. Bedeni Hill-Cemetery. Kurgan N10


1. სტერეო მიკროსკოპ "LEICA M80"-ით (10X)კვლევა
Examination with a stereo microscope "LEICA M80" (10X)



2. სინათლის მიკროსკოპ "LEICA FSCB" -ით (200X) კვლევა
Examination with a light microscope "LEICA FSCB" (200X400)




3. პოლარიზაციული მიკროსკოპ "Leica DM2500 P" -ით (160X) კვლევა
Examination with a polarizing microscope "Leica DM2500 P" (160X)




ტაბ./Tab.III. ქსოვილის ფრაგმენტი. N10-2016/28. ანანაურის N3 დიდი ყორღანი
Tissue Fragment N 10-2016/28. Ananuri Big Kurgan N3


1. სტერეო მიკროსკოპ "LEICA M80"-ით (10X) კვლევა
Examination with a stereo microscope "LEICA M80" (10X)



2. სინათლის მიკროსკოპ "LEICA FSCB" -ით (200X400) კვლევა
Examination with a light microscope "LEICA FSCB" (200X400)



3. პოლარიზაციული მიკროსკოპ "Leica DM2500 P" -ით (160X) კვლევა
Examination with a polarizing microscope "Leica DM2500 P" (160X)



ტაბ/Tab.IV. ქსოვილის ფრაგმენტი. N10-2016/29. ანანაურის N3 დიდი ყორღანი
Tissue Fragment N 10-2016/29. Ananuri Big Kurgan N3

1. სტერეო მიკროსკოპ "LEICA M80"-ით (10X) კვლევა
Examination with a stereo microscope "LEICA M80" (10X)



2. სინათლის მიკროსკოპ "LEICA FSCB" -ით (200X400) კვლევა
Examination with a light microscope "LEICA FSCB" (200X400)



3. პოლარიზაციული მიკროსკოპ "Leica DM2500 P" -ით (160X) კვლევა
Examination with a polarizing microscope "Leica DM2500 P" (160X)




ტაბ/Tab.V. ქსოვილის ფრაგმენტი. N10-2016/24. ანანაურის N3 დიდი ყორღანი
Tissue Fragment N 10-2016/29. Ananuri Big Kurgan N3


1. სტერეო მიკროსკოპ "LEICA M80"-ით (10X) კვლევა;
Examination with a stereo microscope "LEICA M80" (10X);




2. სინათლის მიკროსკოპ "LEICA FSCB"-ით (200X) კვლევა
Examination with a light microscope "LEICA FSCB" (200X400)



3. პოლარიზაციული მიკროსკოპ "Leica DM2500 P"-ით (160X) კვლევა
Examination with a polarizing microscope "Leica DM2500 P" (160X)





თავი IV

უძველესი ქსოვილების საღებავები

ნანა რუსიშვილი, თეა კინსურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე

CHAPTER IV

ANCIENT TEXTILES DYES

Nana Rusishvili, Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze



თავი IV

უძველესი ქსოვილების საღებავები

ნანა რუსიშვილი, თეა კინწურაშვილი, თეიმურაზ ფარჯანაძე, მიხეილ წერეთელი, ნინო კალანდაძე

არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილი ქსოვილის ფერის კვლევა საკმაოდ პრობლემატურია. ყორღანში აღმოჩენილი უძველესი ქსოვილების უმრავლესობა ფერშეცვლილი და მუქი ტონალობისაა (შავი, მუქი ყავისფერი), აქედან გამომდინარე მათი პირვანდელი (ორიგინალი) ფერის დადგენა მეტად რთულია, ასევე რთულია საღებავის და ღებვის ტექნოლოგიის იდენტიფიცირება.

ჩვენს მიერ შესწავლილი ქსოვილები გამოირჩევა განსხვავებული ფერით. ფერის კვლევისთვის, ელემენტური შემადგენლობის დადგენის მიზნით გამოვიყენეთ „EvaX pro spector 3“ პორტატიული არადესტრუქციული სპექტროსკოპი. ყველა სპექტრალური კვლევა ჩატარდა ერთსა და იმავე ფიქსირებულ პირობებში: 35 კვტ გამოყენებული ძაბვა, 100 ნმ წინასწარ განსაზღვრული ცოცხალი დრო და 6 მმ² საკვლევი ფართობი. პიგმენტი განისაზღვრა თითოეული მიღებული სპექტრის რენტგენის მწვერვალების დამახასიათებელი ენერგიის (keV) მიხედვით, რომლებიც შეესაბამება სპეციფიკურ ქიმიურ ელემენტებს. შესწავლილი ქსოვილებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში N134-975/331a დაფიქსირდა რკინის საკმაოდ მაღალი მწვერვალი (Fe:17.55 ± 0.13% Ca:0.68 ± 0.21% K:0.3 ± 0.4% Ti:0.06 ± 0.11% Cu:0.05 ± 0.01% As:0.04 ± 0.00% V:0.04 ± 0.05% Cr:0.01 ± 0.03% Mn:0.01 ± 0.03). ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ქიმიური ელემენტების შესაბამისი პიკები ძალზედ დაბალია და ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ფიქსირდებოდა დეპოზიტის ქიმიურ ელემენტები, ძირითადად Ca, Fe K, Mn. რკინის მაღალი შემცველობით დაფიქსირება სპექტრალურ ანალიზში გვაფიქრებინეს, რომ ქსოვილი შეღებილია N134-975/331a მინერალური წარმომავლობის საღებავით, შესაძლოა ჰემატიტით. ვფიქრობთ, რომ ყველა დანარჩენი ქსოვილი შეღებილია მცენარეული ან ცხოველური წარმომავლობის საღებავებით.

საღებავი მცენარეები

ადამიანმა საღებავების შეცნობა უხსოვარი დროიდან დაიწყო. მინერალური, ცხოველური თუ მცენარეული საღებავების გამოყენებას ადასტურებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მრავლად აღმოჩენილი პეტროგლიფები, რომელიც პალეოლითის ხანას მიეკუთვნება. იმ პერიოდისთვის, როდესაც ადამიანმა პირველი ქსოვილი დაამზადა სავარაუდოდ საღებავების საკმაოდ მდიდარი სპექტრი არსებობდა, რომელმაც ბრინჯაოს ხანაში

კიდევ უფრო სრულყოფილი სახე მიიღო. ჯერ არ მოგვეპოვება მეცნიერული დასაბუთება იმისა, რომ ნეოლითის პერიოდის ადამიანი მარცვლოვნების, პარკოსანი და სხვა საკვები მცენარეების კულტივირებისას, საღებავი მცენარეების მოშენებასაც თუ ახდენდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ნეოლითური ნამოსახლარების პალეოეთნობოტანიკური თვალსაზრისით შესწავლის დროს საღებავი პიგმენტის შემცველი მცენარეების ნამარხი თესლებიც გვხვდება, თუმცა აღნიშნულ თესლებს რა დანიშნულება ჰქონდათ დაუდგენელია. ამიტომ, საჭიროა ამ მიმართულებით კვლევების გაგრძელება. საინტერესოა, რა შესაძლებლობები არსებობდა ნეოლით-ბრინჯაოს (ქალკოლითი) ხანაში საქართველოს ტერიტორიაზე საღებავების კულტივირების თვალსაზრისით, მრავალფეროვანი რელიეფიდან გამომდინარე საქართველოს კლიმატიც მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მთავარ კლიმატნარმომქმნელ ფაქტორად შავი ზღვის სიახლოვე და მთავარი კავკასიონის ქედი წარმოადგენს, რომელიც ერთგვარ ბარიერად გვევლინება და ჩრდილოეთიდან ცივი მასების შემოჭრას ეწინააღმდეგება. ატმოსფერული პროცესების და მასთან დაკავშირებული ამინდის მიხედვით საქართველო იყოფა ორ კლიმატურ ოლქად. პირველი დასავლეთ საქართველო, რომელიც ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ზღვის სუბტროპიკული კლიმატით, სადაც დაბლობების საშუალო წლიური ტემპერატურა 14-15°C შეადგენს. ივლისის საშუალო ტემპერატურა 23-24°C. ზამთარი რბილია და იანვრის საშუალო ტემპერატურა 1-2°C. ხოლო ნალექების წლიური რაოდენობა კი შეადგენს 166-177 მმ, აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატი უფრო კონტინენტალურია. ზამთარი აქ უფრო ცივია, კლიმატი აქაც სუბტროპიკულია, მაგრამ უფრო მშრალი (კორძახია 1961).

მცენარეული საფარი

საქართველოს მცენარეული საფარი მრავალფეროვანი და თვითმყოფადია, რაც მის გეოგრაფიული მდებარეობის, გარემო პირობების მრავალფეროვნების და განვითარების შედეგია.

საქართველოს ტერიტორიაზე იზრდება 5000 ველური ყვავილოვანი და დაახლოებით 8300 პოროვანი მცენარე, რომლებიც განსხვავებულია თავისი ეკოლოგიით, აქედან მრავლად გვხვდება ენდემური და რელიქტური მცენარეები. მათ შორისაა, მესამეული პერიოდის მცენარეებიც. როგორც სხვა მთიან ქვეყნებში, მცენარეულობა განლაგებულია ვერტიკალური სარტყლების მიხედვით, რომლებიც სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპერატურის დაწვეით და ვეგეტაციური პერიოდის შემოკლებით ხასიათდება.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორია კონტინენტალური ჰავით გამოირჩევა და სიმშრალის მოყვარული მცენარეულობით ხასიათდება. დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კლიმატური განსხვავები-

დან გამომდინარე, განსხვავებულია ვერტიკალური ზონალობის სტრუქტურაც. დასავლეთ საქართველოში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი სარტყლები: 1. ტყის (ზღვის დონიდან 0-1900 მ-დე); 2. სუბალპური (ზღვის დონიდან 1900-2300 მ-მდე) 3. ალპური (2300-2800 მ-მდე), სუბნივალური (2800-3100 მ-მდე) დანივალური (3100-დან ზემოთ).

აღმოსავლეთ საქართველოში ვერტიკალური სარტყლების რაოდენობა მეტია: 1. ნახევრადუდაბნოების და მშრალი ველების სარტყელი (150-200 მ); 2. არიდული მეჩხერტყიანი სარტყელი (200-700 მ); 3. ტყის სარტყელი (700-1900 მ); 4. სუბალპური (1900-2500 მ); 5. ალპური (2500-3000 მ); სუბნივალური (3000-3500 მ); 7. ნივალური (3500 მ-ის ზემოთ).

დასავლეთ საქართველოსგან განსხვავებით, აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობი დაკავებულია აბზინდიან-უროიანი და ვაციწვერიანი ველებით. მთისწინეთი დაკავებულია ეკლიან-ბუჩქებიანი ველებით და მეჩხერი ტყეებით. კახეთის ჭაობიანი ტყეები მეტწილად მსგავსია კოლხეთის დაბლობის ანალოგიური ტყეების.

საქართველოს ფლორამ და მცენარეულმა საფარმა განიცადა გარკვეული ცვლილებები გეოლოგიური წარსულის განმავლობაში. შუა პლიოცენის ბოლომდე საქართველოს ფლორა გაჯერებული იყო ტროპიკული და სუბტროპიკული ელემენტებით. სხვადასხვა ეპოქებში კლიმატური ცვლილებების შედეგად, ხდებოდა მცენარეული სარტყლების ერთგვარი ჩანაცვლება. ანთროპოგენური ზეგავლენა გაძლიერდა ჰოლოცენის მეორე ნახევარში. ეს ფაქტი ძირითადად გამოიხატა ტყეების გაჩეხვით მიწათმოქმედების და მეცხოველეობის განვითარებით (კეცხოველი 1960, Гулисашვილი 1964).

საღებავი მცენარეები

XIX-ს ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე მეცნიერებმა (Роллов, Гроссгейм), კავკასიის მცენარეული საფარის აღწერას, მრავალწლიანი საველე ექსპედიციები მიუძღვნეს. შედეგად შეიქმნა მნიშვნელოვანი პუბლიკაციები კავკასიის ტერიტორიაზე ველურად გავრცელებული საკვები, ვიტამინების შემცველი, სამკურნალო, ბოჭკოვანი, საზეთე, შხამების შემცველი და ასევე საღებავი მცენარეების შესახებ. აღწერილია 200-ზე მეტი საღებავი პიგმენტის შემცველი მცენარე. არსებობს ასევე, დეტალური რეცეპტურა თითოეული მცენარის რომელი ნაწილი და რა დროს გამოიყენება ქსოვილების შესაღებად და რომელი დანამატების გამოყენება უზრუნველყოფს ფერის სიმკვეთრეს და სიმყარეს ცალკეული მცენარისათვის. წარმოდგენილი მცენარეები მოიცავენ ფერთა თითქმის სრულ სპექტრს. ზოგ შემთხვევაში, მცენარის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ფერის საღებავ პიგმენტს შეიცავს (Роллов 1908, Гроссгейм 1952).

საღებავი მცენარეების შესახებ, ბოტანიკური მონაცემების გარდა საინტერესო ცნობები არსებობს ეთნოლოგიურ კვლევებში, სადაც ასევე დეტალურად არის განხილული სელის და მატყლის ქსოვილების შეღებვის წესები და საღებავი მცენარეები (აზიკური 1999).

ჩატარებული სამეცნიერო სამუშაოების შედეგად წარმოდგენილია საღებავი პიგმენტის შემცველ მცენარეთა ფართო სპექტრი: ყვითელი ფერის მომცემი მცენარეებია: *Acer platanoides* L.- ნეკერჩხალი (ლექა), *Adonis vernalis* L.- ყვითელი ცხვირისატეხელა, *Aethusa cynapium* L.- ძაღლის ქინძი, *Agrimonia eupatoria* L.- ბირკავა, *Alchemilla vulgaris* L.- მარმუჭი, *Pulsatilla vulgaris* Mill.- მედგარა, *Anthemis tinctoria* L.- ირაგა, *Berberis vulgaris* L.- კონახური, *Betula alba* L.- არყი, *Corylus avellana* L.- თხილი, *Equisetum arvense* L.- შვიტა, *Euphorbia esula* L.- რძიანა, *Glycyrrhiza glabra* L.- ძირტკბილა, *Helichrysum arenarium* DC.- ნეგო, *Hippophae rhamnoides* L.- ქაცვი, *Lysimachia nummularia* L.- ხახვთესლა, *Malus communis* Desf.- ვაშლი, *Ostrya carpinifolia* Scop.- უხრავე, *Paris quadrifolia* L.- ხარისთვალა, *Physalis Alkekengi* L.- ონტკოფა, *Pimpinella aurea* DC.- ანისული, *Populus nigra* L.- ოფი, *Potentilla anserine* L., *Prunus domestica* - ქლიავი, *Reseda lutea* L.- ყანის ლუტეა, *Rhamnus catharica* L.- ხეშავი, *Rhus coriaria* L.- თუთუბო, *Rhus cotinus* L. (*Cotinus coggygria*) - თრიმლი, *Rumex acetosella* L.- კოკომჯავა, *Scabiosa columbaria* L.- ფოლიო, *Serratula coronata* L.- ირმისმხალა, *Sisymbrium officinale* L.- ღორღორა, *Thalictrum minus* L.- მაჟარა, *Trifolium aureum* Pollich. - ოქროსფერი სამყურა, *Ulmus campestris* L.- თელა, *Urtica dioica* L.- ჭინჭარი, *Viburnum lantana* L.- უზანი და სხვ.

მწვანე ფერი მიიღება შემდეგი მცენარეებიდან: *Aegopodium podagraria* L.- მარიამსხალა, *Evonymus europaeus* L.- ჭანჭყატი, *Galium verum* L.- მინდვრისნემსა, *Menyanthes trifoliata* L.- წყლის სამყურა, *Rhamnus frangula* L.- ხეჭრელი, *Senecio vulgaris* L.- თავყვითელა, *Urtica dioica* L.- ჭინჭარი და სხვ.

შავი ფერის საღებავი მიიღება შემდეგი მცენარეებისგან: *Acer platanoides* L.- ნეკერჩხალი (ლექა), *Actea spicata* L.- დათვის ყურძენი, *Myricaria germanica* Desv.- კრავის-კუდა, *Nymphaea alba* L.- თეთრი ღუმფარა, *Origanum vulgare* L.- თავშავა, *Persica vulgaris* Mill.- ატამი, *Punica granatum* L.- ბრონეული, *Quercus* L.- მუხა, *Rhamnus catharica* L.- ხეშავი, *Sorbus aucuparia* L.- ცირცელი და სხვ.

ღურჯი ფერის საღებავი მიიღება შემდეგი მცენარეებისგან: *Atriplex hortensis* L.- ნაცარქათამა, *Atropa Belladonna* L.- ბელადონა, *Borrago officinalis* L.- კიტრისუნა, *Centaurea Cyanus* L.- რუსული ღიღილო, *Cerinth minor* L.- ჭახრაკაული, *Delphinium orientale* J.Gay.- ყანის სოსანი, *Geranium molle* L.- ქათმისკუჭა, *Geum urbanum* L.- ნიგვზისძირა, *Inula helenium* L.- კულმუხო, *Scabiosa columbaria* L.- ფოლიო, და სხვ.

წითელი ფერის პიგმენტის შემცველ მცენარეთა შორის ყველაზე მნიშვნელოვნად ენდრო-*Rubia tinctorum* L. ითვლება. მისი ფესურა შეიცავს წითელ პიგმენტს - ალიზარინს. კავკასიის ტერიტორიაზე კერძოდ,

ყარაბაღში და ბაქოს ჩრდილო დასავლეთით გროსგეიმს აქვს აღწერილი ადგილები, სადაც შეინიშნება ენდროს ხელოვნურად გაშენების კვალი, თუმცა უცნობია მათი გაშენების დრო (Гроссгейм 1952).

ნითელი ფერის საღებავი, ასევე მიიღება შემდეგი მცენარეებისგან: *Anchusa officinalis L.*-პატარზალა, *Betula pubescens Ehrh* - არყი, *Comarum palustre L.* - წყლის მარწყვა ბალახი, *Echium rubrum Forssk.* - ძირნითელა, *Echium vulgare L.* - ლურჯი ძირნითელა, *Galium aparine L.* - ბეგიაური, *Galium verum L.*- მინგვრისნემსა, *Ligustrum vulgare L.*-კვიდო, *Peganum harmala L.*- მარიამსაკმელა, *Prunus spinosa L.*- კვრინჩხი და სხვ.

აქვე აღსანიშნავია ის მცენარეებიც, რომელთა ფესვებზეც ბინადრობენ მიკროსკოპული ზომის მწერები, რომლებიც გამოიმუშავებენ ნითელი ფერის საღებავს. ესენია: *Sclerantus anuus L.* - ნიაპა მის ფესვებზე ბინადრობს მწერი *Porphyrophora polonica*, რომელიც გამოიმუშავებს ნითელი ფერის საღებავს. ასევე, *Aeluropus lagopiudes (L.) Thwaites*- გლერტა. გავრცელებულია- ართვინის ოლქში. ამ მარცვლოვანის ფესვებზე ბინადრობს *Porphyrophora polonica*-ს მსგავსი მწერი, მაგრამ 5-6 ჯერ აღემატება მას ზომაში, რომელიც ასევე გამოიმუშავებს ნითელი ფერის საღებავს (Поллов 1908).

კლიმატი და აგროკულტურა ნეოლითის ხანაში

საქართველოს ტერიტორიაზე, მარნეულის ველზე აღმოჩენილი, ნეოლითური ნამოსახლარები (არუხლო, ხრამის დიდი გორა, შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, მაშავერას გორა და სხვ.) (ძვ.წ. VI-IV ათასწლეულები), ახასიათებთ ალიზის მრგვალგეგმიანი არქიტექტურა. აღნიშნული ადრესამინათმოქმედო ნამოსახლარების ეკონომიკური სიძლიერე სოფლის მეურნეობაში გამოყენებულ შრომის იარაღებს და დომესტიცირებულ მცენარეთა ფართო ასორტიმენტს ემყარებოდა (ჯაფარიძე 2003).

პალეოეთნობოტანიკური თუ პალინოლოგიური თვალსაზრისით, ამ პერიოდის ნამოსახლარების (არუხლო, ხრამის დიდი გორა, გადაჭრილი გორა, შულავერის გორა, მაშავერას გორა და სხვ.) შესწავლამ გარკვეული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა მოგვცა ძვ.წ. VI-IV ათასწლეულების ხანის აგროკულტურის და პალეოკლიმატის შესახებ (ჯალაბაძე და სხვ. 2010; Русишвили 1990).

პალინოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ძვ.წ. VI ათასწლეულში კლიმატი ქვემო ქართლის ტერიტორიაზე, უფრო თბილი და ნოტიო იყო. იდენტიფიცირებულია სითბოს და ტენისმოყვარული მცენარეები, როგორცაა ლაფანი და ნიფელი. ლაფანი (*Pterocaria pterocarpa*) საქართველოს ტერიტორიაზე, კოლხეთის დაბლობის, ალაზნის ველის და ლაგოდეხის ნაკრძალის დამახასიათებელი ელემენტია, სადაც ნალექების წლიური რაოდენობა 700-800 მმ-ია, ხოლო

საშუალო წლიური ტემპერატურა 13-14°C შეადგენს (Kvavadze at al. , 2014).

არქეობოტანიკური მონაცემების მიხედვით, აღნიშნულ ნასახლარებზე გამოვლენილია კულტურულ და ველურ მცენარეთა ფართო ასორტიმენტი. ნამოსახლარებზე (არუხლო, ხრამის დიდი გორა, იმირის გორა, შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, მაშავერას გორა და სხვ.) იდენტიფიცირებულია ხორბლის რამდენიმე სახეობა, ესენია: კულტურული ერთმარცვალა (*Triticum monococcum* L.), კულტურული ორმარცვალა (*Triticum dicoccum* Schrank ex Schubl.), რბილი ხორბალი (*Triticum aestivum* L.), კომპაქტური ხორბალი (*Triticum compactum* Host.). კილიამარცვლიანი ქერი (*Hordeum vulgare* L.), პარკოსანი მცენარეებიდან იდენტიფიცირებულია: ოსპი (*Lens culinaris* Medik.), ბარდა (*Pisum sativum* L.), უგრეხელი (*Vicia ervilia* (L.) Willd.). რბილი და კომპაქტური ხორბლები მიეკუთვნება ჰექსეპლოიდურ შიშველმარცვლიან სახეობებს. პალეოეთნობოტანიკურ მასალაში რბილი და კომპაქტური ხორბლების კარბონიზებულ მარცვლებთან ერთად ნაპოვნია აღნიშნული ხორბლების თავთავის ღერძის ნანევრებიც, რომელიც უფრო სარწმუნოს ხდის მათ იდენტიფიკაციას. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნეოლითური პერიოდის ნამოსახლარებზე ხორბლის შიშველმარცვლიანი სახეობების არსებობა განვითარებულ მინათმოქმედებას ადასტურებს (Русишвили 1990). ჰეროდოტე (ძვ.წ. 484-425) მაღალ შეფასებას აძლევდა კოლხური სელისგან დამზადებულ ტექსტილს და აღნიშნავდა, რომ იგი ხარისხით ეგვიპტურს უწევდა კონკურენციას (ჯავახიშვილი 1930).

ნეოლითური ნამოსახლარებიდან (გადაჭრილი გორა, შულავერის გორა) გამოვლენილ არქეობოტანიკურ მასალაში ხშირად გვხვდება ასევე ველურ მცენარეთა თესლების დიდი რაოდენობა, რომელიც კონცენტრირებულია ნამოსახლარის სხვადასხვა ლოკაციებზე. აღნიშნული მცენარეები საღებავ პიგმენტსაც შეიცავენ. ასეთებია: კიტრისუნა - *Borago officinalis* L., ლურჯი ძირნითელა-*Echium vulgare* L., რძიანა-*Euphorbia* sp. *Anchusa officinalis* L.-პატარძალა და სხვ. შესაძლოა, ველურ მცენარეთა თესლების ნაკრები მღრღნელებს ან მწერებს უკავშირდებოდეს ან სპეციალურად ხდებოდა მათი შეგროვება, როგორც სათესლე მასალის. ეს ფაქტი, შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

კლიმატი ბრინჯაოს ხანაში

ანანაურის N3 ყორღანის პალინოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით კლიმატური ოპტიმუმი იყო ალაზნის ველზე ადრეებრინჯაოს ხანაშიც. კერძოდ ანანაურის ყორღანის მიდამოებში გავრცელებული იყო ფართოფოთლოვანი ტყე, სადაც ცაცხვი, ნაბლი და რცხილა დომინირებდა, ნეკერჩხალი, ნიფელი, თელა, მუხა, ძელქვა ასევე მინარევის სახით იყო გავრცელებული.

დიდი რაოდენობით ნაბლის, მუხის და თხილის არსებობა დასტურდება

ანანაურის ყორღანზე პალეოკარპოლოგიური მონაცემებითაც, კერძოდ ნაპოვნია ნაბლის, თხილის და მუხის ნაყოფები, რომლებიც სავარაუდოდ იმპევენური საგზალს წარმოადგენდა. დასაკრძალავ კამერაში, მცირე რაოდენობით ნაპოვნია კვრინჩხის და მუხის ნაყოფებიც. ჩამოთვლილი მცენარეები მერქნიან მცენარეებს მიეკუთვნებიან. მერქნიან მცენარეთა ნაყოფებთან ერთად ნაპოვნია, ასევე ონტკოფას (*Physalis alkekengi L.*) ნაყოფებიც. ონტკოფა ბალახოვან მცენარეს მიეკუთვნება, ცნობილია მისი სამკურნალო თვისებები, ასევე, ონტკოფას ნაყოფი შეიცავს საღებავ პიგმენტსაც და გამოიყენებოდა ქსოვილების წარმოების ფრაგმენტად შესაღებად (რუსიშვილი 2016, pp. 193-203).

არაპალინოლოგიური წარჩენებიდან აღსანიშნავია უამრავი სელის ბოჭკო, რომელზედაც, სხვადასხვა ფერის პიგმენტი ფიქსირდება (ყვავაძე 2016, pp. 137-192).

პალინოლოგიური მონაცემების მიხედვით, კლიმატური ოპტიმუმი ბრინჯაოს ხანაში მხოლოდ ანანაურის N3 ყორღანის მიდამოებით არ შემოიფარგლებოდა. ტყემლარას (თეთრინყაროს მუნიციპალიტეტი), კოდინის (ბაკურიანის სამხრეთით), ფარვანას (ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი) და ბედენის პლატოს (თეთრინყაროს მუნიციპალიტეტი) ყორღანების შესწავლამ ფართოფოტოლოვანი ტყის არსებობა დაადასტურა, იქ სადაც ამჟამად ალპური და სუბალპური მდელოებია გავრცელებული (ყვავაძე 2016).

ამრიგად, საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა მდიდარი მცენარეული რესურსი, სამღებრო მეურნეობის განვითარების თვალსაზრისით. ნეოლითურ ნამოსახლარებზე საკმაოდ განვითარებული იყო მწარმოებლური მეურნეობა. ხორბლის ჰექსაპლოიდური, შიშველმარცვლიანი სახეობების არსებობა ადასტურებს, რომ მწარმოებლურ მეურნეობას საკმაოდ ხანგრძლივი წინა პერიოდი ჰქონდა და კულტურული მცენარეები ევოლუციურად, მაღალ საფეხურზე იმყოფებოდნენ.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შესაძლოა ვთქვათ შემდეგი: ჩვენს მიერ შესწავლილი ყველა ერთეული წარმოადგენს ცხოველური წარმოშობის (ცხვრის) კერატინის ბოჭკოებისგან შექმნილ ქსოვილებს, რომლებმაც დამზდების საბოლოო ეტაპზე შეიძინეს ფერი, მარტივად რომ ვთქვათ, ქსოვილები შეღებილია.

შესწავლილი ქსოვილებიდან, მხოლოდ ერთ შემთხვევაში ვვარაუდობთ მინერალური საღებავის გამოყენების ფაქტს, დანარჩენ შემთხვევებში სავარაუდოა მცენარეული წარმოშობის საღებავის გამოყენება, არ არის გამორიცხული, რომ ბრინჯაოს ხანაში საღებავი მცენარეების არა მხოლოდ შეგროვება, შესაძლოა მათი კულტივირებაც ხდებოდა. უძველესი ქსოვილების ფერები უდაოდ იმსახურებს შემდგომ ფართომასშტაბიან კვლევებს.

ბიბლიოგრაფია

- აზიკური ნ., (1999) მატყლის ღებვის ტრადიცია თუშეთში. "კუნა გეორგია". თბილისი
- კეცხოველი ნ., (1960) საქართველოს მცენარეული საფარი. თბილისი
- კორძახია მ., (1961) საქართველოს ჰავა. საქ. მეცნ. აკად. გამომცემლობა. თბილისი
- რუსიშვილი ნ., (2016) ანანაურის N3 დიდი ყორღანი. ანანაურის არქეოლოგიურ კომპლექსში აღმოჩენილ მცენარეთა იდენტიფიკაციის შედეგები. თბილისი
- ყვავაძე ე., ჯალაბაძე მ., ქორიძე ი., რუსიშვილი ნ., ჭიჭინაძე მ., მარტყოფლიშვილი. (2014) "გადაჭრილი გოპრის და შულავერის გორის ნამოსახლარების ფენებისა და ჭურჭლის პალინოლოგიური კვლევის შედეგები (2007 წელს მოპოვებული მასალის მიხედვით). მაცნე N6. თბილისი
- ყვავაძე ე., (2016) ანანაურის N3 დიდი ყორღანი. ანანაურის ყორღანიდან მოპოვებული ორგანული ნაშთების პალინოლოგიური კვლევა. თბილისი
- ჯავახიშვილი ი., (1930) საქართველოს ეკონომიური ისტორია. ტფილისი
- ჯალაბაძე მ., ესაკია ქ., რუსიშვილი ნ., ყვავაძე ე., ქორიძე ი., შაყულაშვილი ნ., წერეთელი მ., (2010) გადაჭრილ გორაზე 2006-2007 წლებში ჩატარებული არქეოლოგიური სამუშაოების ანგარიში. ძიებანო N19. თბილისი
- ჯაფარიძე ო., (2003) საქართველოს ისტორიის სათავეებთან. თბილისი
- Гроссгейм А.А., (1952) Растительные богатства Кавказа. выпуск 7(XV). Москва
- Гулисашвили В.З. (1964) Природные зоны Кавказа. Москва, Наука
- Роллов А.Х., (1908) Дикорастущие растения Кавказа их распространение свойства и применение. Тифлис
- Русишвили Н., (1990) Культурные растения на ранних поселениях Грузии по палеоэтноботаническим исследованиям. Автореферат диссертации на соиск.уч. степ.канд.виол. наук. Кишинев

CHAPTER IV

ANCIENT TEXTILE DYES

Nana Rusishvili, Tea Kintsurashvili, Teimuraz Parjanadze, Micheil Tsereteli, Nino Kalandadze

The study of the color of the textile found on archeological sites is quite problematic. Most of the ancient textiles found in the Kurgan are discolored and have dark tones (black, dark brown), so it is very difficult to determine their original color, it is also difficult to identify the dyes and dyeing technology.


The textiles we studied are distinguished by a different color. For color research, we used the EvaX pro spector 3 portable non-destructive spectrometers to determine the elemental composition. All spectral studies were performed

under the same fixed conditions: 35 kW applied voltage, 100 s predetermined live time and 6 mm study area. The pigment was determined according to the characteristic energy (keV) of the X-ray peaks of each spectrum obtained, which correspond to specific chemical elements. Only one case of the examined tissues (N134-975/331a) displayed a rather **high peak of iron** (Fe: $17.55 \pm 0.13\%$ Ca: $0.68 \pm 0.21\%$ K: $0.3 \pm 0.4\%$ Ti: $0.06 \pm 0.11\%$ Cu: $0.05 \pm 0.01\%$ As: $0.04 \pm 0.00\%$ V: $0.04 \pm 0.05\%$ Cr: $0.01 \pm 0.03\%$ Mn: 0.01 ± 0.03). **In all other cases, the corresponding peaks of the chemical elements are very low and we think that in this case we were seeing the chemical elements of the deposit**, mainly Ca, Fe, K, Mn. Fixation with high iron content in spectral analysis suggested that the textile was stained with a dye of mineral origin **N134-975:331a**, possibly with hematite. We think that all other textiles are dyed with dyes of plant or animal origin.

Plant Based Dyes

Humans have been aware of dyes since time immemorial. The use of mineral, animal or vegetable dyes is confirmed by the many petroglyphs found in different countries of the world, which belong to the Paleolithic era. By the time humans made the first textile there was probably a fairly rich range of dyes that took on an even more perfect form in the Bronze Age. We do not yet have scientific evidence that humans of the Neolithic period cultivated plants for dyeing purposes by the time they were cultivating grains, legumes, and other edible plants. During the paleoethnobotanical study of the Neolithic settlements found on the territory of Georgia, fossil seeds of plants containing dye pigment are also found, however, the purpose of these seeds is unknown. Therefore, it is necessary to continue research in this direction. It is interesting what opportunities existed in the Neolithic-Bronze Age in terms of cultivating dyes on the territory of Georgia.

Due to the diverse terrain, the climate of Georgia is also diverse. The main climate-generating factor is the proximity of the Black Sea and the main Caucasus ridge, which is a kind of barrier and opposes the invasion of cold masses from the north. Georgia is divided into two climatic regions according to atmospheric processes and related weather. Georgia, is characterized by a pronounced subtropical climate of the sea, where the average annual temperature of the lowlands is 14-15 °C. The average temperature in July is 23-24 °C, the winter is mild and the average temperature in January is 1-2 °C, and the annual rainfall is 166-177 mm. The climate of Eastern Georgia is more continental. Winters here are colder, the climate here is subtropical, but drier (Kordzakhia 1961).



Vegetation Cover

Georgia's vegetation is diverse and unique, which is a result of its geographical location, diversity of environmental conditions and development.

5000 wild flowering and about 8,300 spore plants grow on the territory of Georgia, which are different in their ecology, many of which are endemic and relict plants. Among them are tertiary period plants. As in other mountainous countries, the vegetation is arranged in vertical belts, which are characterized by a decrease in temperature and shortening of the vegetation period with increasing altitude.

The territory of Eastern Georgia is characterized by a continental climate and has drought-loving vegetation. Due to the climatic differences between western and eastern Georgia, the structure of vertical zoning is also different. The following main zones are distinguished in Western Georgia: 1. Forest (0-1900 m above sea level); 2. Subalpine (up to 1900-2300 m above sea level); 3. Alpine (from 2300 to 2800 m); 4. Subnival (2800-3100); 5. Dinal (above 3100 m).

There are more vertical belts in Eastern Georgia: 1. Semi-desert and dry field belt (150-200 m); 2. Arid arched belt (200-700 m); 3. Forest belt (700-1900 m); 4. Sub-Alpine (1900-2500 m); 5. Alpine (2500-3000m); 6. Subinal (3000-3500); 7. Nival (above 3500 m).

Unlike western Georgia, the lowlands of eastern Georgia are occupied by the valleys. The foothills are occupied by thorn-bush fields and dense forests. The swampy forests of Kakheti are largely similar to the forests of the Kolkheti lowlands.

Georgia's flora and vegetation have undergone some changes over the geological past. By the end of the Middle Pliocene, the flora of Georgia was saturated with tropical and subtropical elements. As a result of climate change in different eras, plant belts were replaced. Anthropogenic influences intensified in the second half of the Holocene. This fact was mainly manifested by deforestation and the development of agriculture and animal husbandry (Ketskaveli 1960, Gulisashvili 1964).

Dye Plants

Scientists working in the late nineteenth and early twentieth centuries (Roll-ov, Grossheim) dedicated many years of field expeditions to the description of the vegetation of the Caucasus. As a result, important publications were created on wild food, vitamins, medicinal, fiber, oils, poisons, as well as dye plants, which are widely distributed in the Caucasus. More than 200 plants containing dye pigments are described. There is also a detailed recipe for which part of each plant and when it is used to dye textiles and which additives to use to ensure color sharpness and firmness for a particular plant. The plants presented

encompass an almost complete range of colors. In some cases, different parts of the plant contain different colors of dye pigment. (Rollov 1908, Grossheim 1952).

In addition to botanical data, there are interesting facts about dye plants in ethnological studies, which also discuss in detail the rules for dyeing flax and wool textiles as well as dye plants (Azikuri 1999).


As a result of scientific work, a wide range of plants containing dye pigments are presented. Plants with yellow dye are: *Acer platanoides* L. - Maple (Leka), *Adonis vernalis* L.- pheasant's eye, *Aethusa cynapium* L.- fool's parsley, *Agrimonia eupatoria* L.- common agrimony, *Alchemilla vulgaris* L. - common lady's mantle, *Pulsatilla vulgaris* Mill.- pasqueflower, *Anthemis tinctoria* L.- golden marguerite, *Berberis vulgaris* L. - barberry, *Betula alba* L. - downy birch, *Corylus avellana* L.- hazel, *Equisetum arvense* L. - field horsetail, *Euphorbia esula* L.- green spurge, *Glycyrrhiza glabra* L.- Liquorice, *Helichrysum arenarium* DC.- dwarf everlast, *Hippophae rhamnoides* L. - sea-buckthorn, *Lysimachia nummularia* L. - moneywort, *Malus communis* Desf.- Apples, *Ostrya carpinifolia* Scop.- European hop-hornbeam, *Paris quadrifolia* L.- herb Paris, *Physalis Alkekengi* L. - bladder cherry, *Pimpinella aurea* DC.- Pimpinella, *Populus nigra* L.- black poplar, *Potentilla anserine* L. - silverweed, *Prunus domestica*- plum, *Reseda lutea* L. yellow mignonette, *Rhamnus catharica* L.- buckthorn, *Rhus coriaria* L.- sumach, *Rhus cotinus* L. (*Cotinus coggygria*)- smoketree, *Rumex acetosella* L.- red sorrel, *Scabiosa columbaria* L.- small scabious, *Serratula coronata* L.- Plumeless saw-wort, *Sisymbrium officinale* L.- hedge mustard, *Thalictrum minus* L.- lesser meadow-rue, *Trifolium aureum* Pollich.- large hop trefoil, *Ulmus campestris* L.- wych elm, *Urtica dioica* L.- nettle, *Viburnum lantana* L. - wayfarer and others.

